F 171
1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

## 9

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

### МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სექტემბერი

თბილისი 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ექ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-74 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7.

შეკვ. № 840 უე—15579 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ն 3958

# სსრკ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესის შესახებ

**1974 წლის 20 ივნისს** სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. პროკოფიევმა დაამტკიცა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებული სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესი.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია:

1. განემარტოთ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საღამოს (ცვლის), დაუსწრებელ, სანატორიულ-ინტერნატებს, **საღამოს (ცვლის), რომ ახალი შინაგანაწესის** საფუძველზე სკოლის ადმინისტრაცია, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, ადგენს შრომის შინაგანაწესს მოცემული სკოლის მუშაობის პირობების გათვალისწინებით.

2. განათლების ორგანოებმა და სკოლებმა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სკოლის ცხოვრებაში შინაგანაწესის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. სკოლებმა პირველსავე პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დაწვრილებით განიხილონ შინაგანაწესი.

3. ახალი შრომის შინაგანაწესის ცხოვრებაში განუხრელად გატარებამ უნდა აამაღლოს სკოლის მუშაკთა შორის შრომის დისციპლინა, მკვეთრად გააუმჯობესოს როგორც მთლიანად სკოლის მუშაობა, ისე ცალკეული მასწავლებლებისა და სხვა მუშაკების საქმიანობა სკოლაში.

4. შრომის შინაგანაწესი გამოიკრას თითოეულ სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.

# სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესი

## I. ზოგადი დებულებანი

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის 130-ე მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაიცვას შრომის დისციპლინა.

შრომის დისციპლინის დაცვას უზრუნველყოფს დარწმუნების მეთოდები, აგრეთვე კეთილსინდისიერი შრომისათვის წახალისებანი. შრომის დისციპლინის დარღვევათა მიმართ გამოიყენება დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები.

2. ეს შრომის შინაგანაწესი ვრცელდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაზე (დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლები და სკოლა-ინტერნატები, საღამოს (ცვლის), დაუსწრებელი, სანატორიულ-სატყეო, სპეციალური სკოლები).

3. ამ შინაგანაწესის საფუძველზე სკოლის ადმინისტრაცია, პროფესიული კავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, ადგენს შრომის შინაგანაწესს თავისი სკოლის მუშაობის პირობების მიხედვით.

4. შრომის შინაგანაწესის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ადმინისტრაციის მიერ წყდება მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით და შრომის შინაგანაწესით, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთობლივად ან მასთან შეთანხმებით.

## II. მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის წესი

5. სსრ კავშირში უზრუნველყოფილია სამუშაოს სახისა და პროფესიის არჩევა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. მუშები და მოსამსახურეები შრომის უფლების რეალიზებას ახდენენ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ შრომითი ხელშეკრულების დადებით.

6. სამუშაოზე მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია მისაღებ პირს მოსთხოვოს:

ა) შრომის წიგნაკის წარმოდგენა, ხოლო თუ ეს პირი მუშაობას პირველად იწყებს, უკანასკნელი საქმიანობის შესახებ ცნობის წარ-

მოდგენა; ეს ცნობა გაცემული უნდა იყოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამისი საბინაო-კომუნალური ორგანოს, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს, ქუჩის კომიტეტის მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პასპორტის წარმოდგენა.

ისეთ სამუშაოზე სადაც სპეციალური განათლება მოეთხოვებათ (პედაგოგები, სამედიცინო დარგის მუშაკები, ბიბლიოთეკარები, შოფერები და სხვ.), მისაღები პირები ვალდებული არიან წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტები განათლების ან პროფესიული მომზადების შესახებ: დიპლომი, ატესტატი, მოწმობა, რომელთა პირები, დამოწმებული ადმინისტრაციის მიერ, უნდა დარჩეს მათს პირად საქმეში.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრეს წარმოებისაგან მოწყვეტით, ამ სასწავლებელთა დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე სამუშაოზე მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვთ დაწესებული ნიმუშის მოწმობა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ ან სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მათ შესაძლებლობა მიეცათ, დამოუკიდებლად მოეწყონ სამუშაოზე.

ის პირები, რომლებიც მუშაობას იწყებენ სკოლებში (გარდა საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლებისა), ვალდებული არიან აგრეთვე წარმოადგინონ სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ არა აქვთ უკუჩვენებები საბავშვო დაწესებულებებში მუშაობისათვის.

სკოლაში სამუშაოდ მიღება ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე დაუშვებელია. სკოლის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მისაღებ პირს მოსთხოვოს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სკოლაში სამუშაოდ მიღებული ყველა მუშაკის (მათ შორის სახალხო განათლების ორგანოს მიერ დანიშნული მუშაკების) შესახებ სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მისი მიღების თაობაზე. ბრძანება მუშაკს ხელწერილქვეშ გაეცნობა.

7. იმ პირებს, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, სამუშაოზე მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა შეევსებათ შრომის წიგნაკები.

შეთავსებით მომუშავეთა შრომის წიგნაკები ივსება მათ ძირითად სამუშაო ადგილზე.

შრომის წიგნაკების შევსებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ინს-

ტრუქციით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების წესების შესახებ.

მუშაკთა შრომის წიგნაკები, როგორც მკაცრი საანგარიშო ბლანკები ინახება სკოლში, ხოლო მათი შენახვა-დაცვისათვის შესაბამისი პირობების უქონლობისას — სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში.

8. ყოველ მასწავლებელსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკზე დგება პირადი საქმე, რომელშიც ინახება შემდეგი დოკუმენტები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, განათლების დოკუმენტის პირი, ატესტაციის შედეგების მასალები, სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ მუშაკს არა აქვს უკუჩვენებები საბავშვო დაწესებულებაში მუშაობისათვის, სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექციის ბრძანების ამონაწერები მუშაკის დანიშვნის, გადაყვანის, წახალისებისა და დათხოვნის შესახებ.

პირადი საქმე ინახება სკოლაში ან სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში. მუშაკის დათხოვნის შემდეგ პირადი საქმე რჩება სკოლაში ან სახალხო განათლების განყოფილებაში.

9. დადგენილი წესით, მუშაკის მიღებისას ან სხვა სამუშაოზე მისი გადაყვანისას, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) გააცნოს მას მინდობილი სამუშაო, შრომის პირობები და განუმარტოს თავისი უფლება-მოვალეობანი;

ბ) გააცნოს შრომის შინაგანაწესი, კონსულტაცია გაუწიოს უსაფრთხოების ტექნიკაში, საწარმოო სანიტარიასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაში.

10. მუშაკების გადაყვანა სხვა მუდმივ სამუშაოზე უნდა ხდებოდეს კანონის ზუსტი შესაბამისობით, მხოლოდ მათი თანხმობით.

11. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მუშაკებს უფლება აქვთ გაწყვიტონ ხელშეკრულება, თუ ამის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას წერილობით გააფრთხილებენ ორი კვირით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ მუშაკს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშობა, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია, მისცეს მას შრომის წიგნაკი და ანგარიში გაუსწოროს.

დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით, პროფკავშირის დგილობრივ კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლებიც სსრ კავშირის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ფორმდება სკოლისადმი ბრძანებით, ხოლო სათანადო შემთხვევებში — სახალხო განათლების ორგანოსადმი ბრძანებითაც.

12. მასწავლებელთა დათხოვნა, ატესტაციის შედეგების მიხედვით, აგრეთვე სკოლის ლიკვიდაციის, მუშაკთა რაოდენობის ან შტატის შემცირების გამო, დასაშვებია, თუ შეუძლებელია მუშაკის გადაყვანა სხვა სამუშაოზე მისი თანხმობით.

მასწავლებელთა და აღმზრდელთა განთავისუფლება, სამუშაოს მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით, შეიძლება მხოლოდ სასწავლო წლის დამთავრებისას.

13. სკოლის ადმინისტრაცია ან სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილება ვალდებულია, დათხოვნის დღეს მისცეს მუშაკს შრომის წიგნაკი, ისე, რომ მასში იყოს ჩანაწერი დათხოვნის შესახებ და საბოლოო ანგარიში გაუსწოროს. დათხოვნის მიზეზები შრომის წიგნაკში უნდა ჩაიწეროს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირებებთან ზუსტი შესაბამისობით და კანონის შესაბამისი მუხლის, პუნქტის აღნიშვნით. დათხოვნის დღედ ითვლება მუშაობის უკანასკნელი დღე.

## III. მუშაკთა ძირითადი მოვალეობანი

14. სკოლის მუშაკები ვალდებულნი არიან:

ა) იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, ზუსტად შეასრულონ სასწავლო რეჟიმი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებისა და შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები, დაიცვან შრომის დისციპლინა (დროზე მოვიდნენ სამუშაოზე, დაიცვან სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობა, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებანი და ა. შ.);

ბ) სისტემატურად აიმაღლონ თავიანთი იდეურ-თეორიული და კულტურული დონე, საქმიანი კვალიფიკაცია;

გ) როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ იყვნენ სამაგალითონი ღირსეული ქცევისა და მაღალი მორალური თვისებების მხრივ;

დ) მთლიანად დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოთხოვნები, რომლე-

ბიც შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით არის გათვალისწინებული;

ე) უფრთხილდებოდნენ და განამტკიცებდნენ სოციალისტურ საკუთრებას (მოწყობილობა, ინვენტარი, მასალები, დამხმარე სასწავლო საშუალებანი და ა. შ.) და ზრდიდნენ მოსწავლეებში საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას.

სკოლის მუშაკები ვალდებულნი არიან, დადგენილ ვადებში გაიარონ სამედიცინო გასინჯვა პერიოდული სამედიცინო გასინჯვის შესახებ არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

15. მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელებისა და აღმზრდელების ძირითადი მოვალეობანი განსაზღვრულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით.

16. უფროსი აღმზრდელი, ჯგუფში აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებასთან ერთად, აორგანიზებს აღმზრდელობით მუშაობას და წესებულებაში, მეთოდურ მუშაობას აღმზრდელებთან, კონტროლს უწევს დღის რეჟიმის დაცვას, პასუხისმგებელია ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

17. სამხედრო ხელმძღვანელი ატარებს სასწავლო (მათ შორის ფაკულტატიურ) და კლასგარეშე მეცადინეობებს დაწყებით სამხედრო მომზადებაში, ხელმძღვანელობს სამხედრო საქმისა და სამხედრო-ტექნიკური მომზადების წრეების მუშაობას, მონაწილეობს მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისაკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზაციასა და ჩატარებაში, აწარმოებს იარაღისა და საბრძოლო მასალის აღრიცხვას, უზრუნველყოფს მათ შენახვას, განაგებს სამხედრო კაბინეტსა და სასროლო ტირს, ახორციელებს აუცილებელ კონტაქტებს შეფ სამხედრო ნაწილთან, რაიონულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატთან, სამოქალაქო თავდაცვის შტაბთან.

18. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგე, შრომის მასწავლებელი, რომელიც სასწავლო სახელოსნოების ოსტატის მოვალეობას ასრულებს, სამეურნეო დარგში სკოლის დირექტორის თანაშემწესთან (მეურნეობის გამგესთან) ერთად აწესრიგებს სასწავლო-საწარმოო პროცესს, სახელოსნოებს უზრუნველყოფს მოწყობილობით, ხელსაწყოებითა და მასალებით; აორგანიზებს სახელოსნოების მოწყობილობათა გამართვასა და რემონტს, შრომის სხვა მასწავლებლებთან ერთად ლესავს ინსტრუმენტებს; პასუხისმგებელია სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსნოებში შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის წესების შესრულებისათვის, მისთვის მინდობილ მატერიალურ ფასეულობების დაცვისათვის.

19. სასწავლო კაბინეტების გამგეებს ნიშნავს სკოლის დირექტორი შესაბამისი სპეციალობის მასწავლებელთაგან.

სასწავლო კაბინეტის გამგე უზრუნველყოფს კაბინეტის სწორად გამოყენებას სასწავლო პროგრამის შესაბამისად, ზომებს იღებს კაბინეტის მოსაწყობად და სასწავლო ხელსაწყოებით შესავსებად, პასუხისმგებელია კაბინეტის მოწყობილობის მოვლა-დაცვისათვის.

20. სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგეს ნიშნავს სკოლის დირექტორი, როგორც წესი, ბიოლოგიის მასწავლებელთაგან.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე ადგენს ნაკვეთზე მუშაობის გეგმებს, ზომებს იღებს მის უზრუნველსაყოფად სათესლე მასალითა და აუცილებელი ინვენტარით, აწესრიგებს მოსწავლეთა მუშაობას (ზაფხულის ჩათვლით) ნაკვეთზე, პასუხისმგებელია ნაკვეთის მდგომარეობისათვის.

21. ბიბლიოთეკარი ეხმარება მოსწავლეებს ლიტერატურის შერჩევაში და ასწავლის მათ წიგნით სარგებლობას, მასწვლებლებთან ერთად ხელმძღვანელობს კლასგარეშე კითხვას, პროპაგანდას უწევს წიგნებს მოსწავლეთა, მათ მშობლებსა და სკოლის მუშაკთა შორის, ზომებს იღებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად, პასუხისმგებელია მისი მოვლა-დაცვისათვის.

22. ავტომანქანის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატი მოსწავლეებს ასწავლის ავტომობილის პრაქტიკულ ტარებას, განაგებს ავტოსაქმეში პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილ სახელოსნოს და სასწავლო გარაჟს, ახორციელებს ავტომანქანების მოვლას და მათ მომზადებას მეცადინეობისათვის, მონაწილეობს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში.

23. სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლების ინსტრუქტორი მოსწავლეებს ასწავლის ტრაქტორებზე, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობას, ახორციელებს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკურ მომსახურებას, მიმდინარე რემონტსა და სამუშაოდ მომზადებას, ზომებს იღებს მათ უზრუნველსაყოფად სათადარიგო ნაწილებითა და საწვავ-საზეთი მასალებით. პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-დაცვისათვის, მონაწილეობს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში.

24. საწერ მანქანებსა და სხვა საკანცელარიო ტექნიკაზე მუშაობის პრაქტიკული სწავლების ინსტრუქტორი ატარებს მეცადინეობას მანქანაზე წერაში, ხელმძღვანელობს მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკას, განაგებს მანქანაზე წერისა და თანამედროვე საქმისწარმოების კაბინეტს (იღებს ზომებს კაბინეტის მოსაწყობად, ახორციელებს საწერი მანქანებისა და სხვა საკანცელარიო ტექნიკის სამუშაოდ მომზადებას, მათი მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზაციას, ამზადებს მეცადინეობისათვის აუცილებელ მასალებს).

25 ლაბორანტი მუშაობს შესაბამისი სასწავლო კაბინეტის გამგის უშუალო ხელმძღვანელობით, დროულად ამზადებს მოწყობილობასა და აპარატურას ლაბორატორიული, პრაქტიკული და სადემონსტრაციო სამუშაოებისათვის, პასუხისმგებელია მისთვის მინდობილი მოწყობილობის წესიერი მოვლა-შენახვისათვის.

26. სკოლების სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები.

მედიცინის მუშაკები ახორციელებენ კონტროლს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე (მათ შორის — სპეციალურ კონტროლს მოსწავლე-წვევამდელების ჯანმრთელობაზე), დღის რეჟიმის შესრულებაზე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ორგანიზაციაზე, მოსწავლეთა კვების ხარისხზე, სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვაზე. ატარებენ სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან.

27. უფროსი ბუხჰალტერი, ბუხჰალტერი (იმ სკოლაში, რომელსაც არ ემსახურება ცენტრალიზებული ბუხჰალტერია) ახორციელებს სკოლის შესანახი ხარჯების ნუსხის შესრულების აღრიცხვას, ადგენს დაწესებულ ანგარიშგებას, უზრუნველყოფს კონტროლს ფულადი სახსრებისა და ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-დაცვაზე, დროულად ამზადებს სკოლის მუშაკთა ტარიფიკაციის მასალებს, თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს დებულებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საბუხჰალტრო ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ, დებულებით სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ინსტრუქციებითა და მეთოდური მითითებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. საქმისმწარმოებელ-მემანქანე ასრულებს მანქანაზე საბეჭდ სამუშაოებს, აწარმოებს საქმეებს, სტატისტიკურ აღრიცხვას, სკოლის არქივს, დახმარებას უწევს კლასის ხელმძღვანელებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაში.

მოანგარიშე—საქმისმწარმოებელი (იმ სკოლაში, რომელსაც ცენტრალიზებული ბუხჰალტერია არ ემსახურება), გარდა წინა აბზაცში აღნიშნული სამუშაოებისა, უფროსი ბუხჰალტრის ხელმძღვანელობით ახორციელებს ცალკეული ოპერაციების აღრიცხვას სკოლის ხარჯების ნუსხის შესრულების დარგში.

მოანგარიშე—მოლარე (იმ სკოლაში, რომელსაც არ ემსახურება ცენტრალიზებული ბუხჰალტერია) უფროსი ბუხჰალტრის ხელმძღვანელობით ახორციელებს სკოლის ხარჯების ნუსხის შესრულების აღრიცხვას.

29. მეთეთრეულე ინახავს თეთრეულს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, აწესრიგებს თეთრეულისა და ტანსაცმლის დროულ შეკეთებას, რეცხვას, დაუთოებას, ზედა ტანსაცმლის წმენდას, ადგენს და აწარმოებს არმატურულ სიებს ყოველ აღსაზრდელზე, პასუხისმგებელია მისთვის მინდობილი ქონებისათვის.

30. მზარეულები უზრუნველყოფენ საჭმლის დროულად, მაღალხარისხოვნად მომზადებას, მონაწილეობენ ყოველდღიური მენიუს შედგენაში, პასუხისმგებელნი არიან საჭმლის მოსამზადებლად მიღებული პროდუქტების შენახვისა და ხარისხისათვის და მათი სწორად ხარჯვისათვის, მზა პროდუქციის რეალიზაციის ვადისათვის, სამზარეულოსა და მისი მამხმარე სათავსოების, რუფლის, სამზარეულოს ინვენტარის სანიტარული მდგომარეობისათვის.

მზარეულის თანაშემწენი ამზადებენ საჭმელს, რეცხავენ ჭურჭელს, ალაგებენ სამზარეულოს, იძლევიან საჭმელს, აუცილებლობის შემთხვევაში ცვლიან მზარეულს.

31. მემანქანეები (მეცეცხლურები), ცეცხლფარეშები ვალდებული არიან დროულად და ნორმალურად გაათბონ სკოლის შენობები, ეკონომიურად ხარჯონ სათბობი, აღრიცხონ მისი ხარჯვა, თვალყური ადევნონ სათბობი სისტემის წესივრობას და დროულად დასვან ადმინისტრაციის წინაშე რემონტის ან დაზიანებათა ლიკვიდაციის აუცილებლობის საკითხი, აგრეთვე ღუმელების, კვამლსადენების გასუფთავებისა და რემონტის საკითხი, თავიდან აიცილონ ხანძარი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სათბობი სისტემისა და ღუმელის უწესივრობამ, დროულად გააფრთხილონ ადმინისტრაცია სათბობის მოტანის აუცილებლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. ზეინკალ-ელექტრომონტიორი, ზეინკალ-სანტექნიკოსი ასრულებს სამუშაოებს შეთავსებული პროფესიების მიხედვით, ემსახურება სკოლის ელექტრომეურნეობას, წყალგაყვანილობა-კანალიზაციის ქსელს, ასრულებს სარემონტო სამუშაოებს.

33. ღამის გადია უზრუნველყოფს ბავშვების ნორმალურ ძილს, თვალყურს ადევნებს განათების მდგომარეობას, ტემპერატურას, ვენტილაციას საწოლ ოთახებში. ღამის გადიებს უფლება არა აქვთ დაიძინონ თავიანთი მორიგეობის დროს.

იმ შემთხვევაში, როცა ღამის გადია სამუშაო დროის თვიური ნორმით არ არის დატვირთული, იგი იტვირთება დღისით ისეთი სამუშაოების შესრულებით, როგორიცაა ბავშვთა ტანსაცმლის, თეთრეულის შეკეთება, ბავშვების ფეხსაცმლის წმენდა, ბავშვების დაბანაში დახმარება და ა. შ.

34. დამლაგებელი უზრუნველყოფს მასზე გაპირობებული შენობის უბნის სანიტარულ მდგომარეობას, მოსწავლეებსა და მუშაკებს უზრუნველყოფს სასმელი წყლით.

დამლაგებლები მათთვის დადგენილი სამუშაო დღის ხანგრძლივობის ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნენ: მეგარდეროზის, ცაცხლფარეშის თანამდებობის უქონლობისას — ზედა ტანსაცმლის შენახვასთან დაკავშირებულ სამუშაოზე, ღუმელების გამთბობებად (ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების შესახებ წინასწარი გულმოდგინე ინსტრუქტაჟის შემდეგ); შიკრიკის მოვალეობის შემსრულებლად; არდადეგების დროს — სკოლაში მცირე სამეურნეო დავალებების შესასრულებლად, სკოლის მოვლა-დაცვასთან დაკავშირებულ სამუშაოზე.

იატაკების გაპრიალება, შეშის დაპობა და დახერხვა, საუზმის მომზადება დამლაგებლების მოვალეობაში არ შედის.

35. მეეზოვე-დარაჯი ვალდებულია სისუფთავე დაიცვას სკოლის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე, თვალყური ადევნოს სახურავების, სანაგვე ორმოებისა და სანაგვე ყუთების დროულად გასუფთავებას, დეზინფექცია გაუკეთოს გარეთა სანიტარულ კვანძებს, თვალყური ადევნოს წესრიგს სკოლის ნაკვეთზე, დაიცვას სკოლის შენობა.

36. იმ მოვალეობათა წრე, რომელსაც ყოველი მუშაკი ასრულებს თავისი თანამდებობის მიხედვით, გარდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებისა და ამ შინაგანაწესისა, განსაზღვრულია აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სხვადასხვა ტიპის სკოლა-ინტერნატების დებულებებით, მოსამსახურეთა

თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომლებიც დადგენილი წესით არის დამტკიცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორი განსაზღვრავს უმცროსი მომსახურე პერსონალის სამუშაო მოცულობასა და ხასიათს სამუშაო დღის ფარგლებში მათი დატვირთვის გათვალისწინებით.

## IV. ადმინისტრაციის ძირითადი მოვალეობანი

37. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოფდეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებისა და შრომის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვას;

ბ) სწორად წარმართავდეს მუშაკთა შრომას მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდეს შრომითსა და საწარმოო დისციპლინას;

დ) სრულყოფდეს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, ავრცელებდეს და მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სკოლის სხვა მუშაკთა საქმიანობაში ნერგავდეს მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას;

ე) უზრუნველყოფდეს სკოლის მუშაკთა მიერ საკუთარი იდეურ-თეორიული დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას, ქმნიდეს აუცილებელ პირობებს სასწავლო დაწესებულებებში მუშაობისა და სწავლების ერთმანეთთან შეხამებისათვის;

ვ) ზომებს იღებდეს აუცილებელი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით, სამეურნეო ინვენტარით სკოლის დროულად უზრუნველყოფისათვის;

ზ) უზრუნველყოფდეს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვას, სკოლის, თანამშრომლებისა და მოსწავლეების ქონების მოვლა-დაცვას;

თ) განუხრელად იცავდეს შრომის კანონმდებლობას, ქმნიდეს მუშაობის ისეთ პირობებს, რომლებიც შეესაბამება შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს;

ი) გასცემდეს ხელფასს დადგენილ ვადებში, უზრუნველყოფდეს სისტემატურ კონტროლს მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების დაცვასა და ხელფასის ფონდის ხარჯვაზე;

კ) აწყობდეს სკოლის მოსწავლეთა და მუშაკთა კვებას ცხელი საჭმლით;

ლ) გულისხმიერად ეპყრობოდეს სკოლის მუშაკთა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფდეს მათთვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სკოლაში მათი ყოფნისა და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.

სკოლის ადმინისტრაცია თავის მოვალეობას, საჭირო შემთხვევებში, ახორციელებს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

## V. სამუშაო დრო და მისი გამოყენება

38. სკოლაში დაწესებულია ექვსდღიანი სამუშაო კვირა ერთი დასვენების დღით.

სკოლაში მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო დადგინდება ცვლების რაოდენობის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ.

სკოლის ადმინისტრცია ვალდებულია, მოაწესრიგოს თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვა.

39. მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვას ახალი სასწავლო წლისათვის ადგენს დირექტორი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად მასწავლებლების შვებულებაში წასვლამდე იმ ვარაუდით, რომ მათ იცოდნენ, რომელ კლასებში და რა სასწავლო დატვირთვით იმუშავებენ მომავალ სასწავლო წელს. ამასთან:

ა) მასწავლებლებს, როგორც წესი, უნდა შეუნარჩუნდეთ ის კლასები, რომლებსაც ასწავლიდნენ, და სასწავლო დატვირთვის მოცულობა;

ბ) მასწავლებლის სასწავლო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს განაკვეთ-ნახევრის საათების რაოდენობას. ცალკეულ შემთხვევებში, როცა შესაბამის დისციპლინებში მასწავლებლების რაოდენობა საკმარისი არ არის, ზოგიერთ მათგანს სახალხო განათლების რაიონულმა (საქალაქო) განყოფილებამ შეიძლება სასწავლო დატვირთვა გაუდიდოს ზემოაღნიშნულ მოცულობასთან შედარებით.

მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის მოცულობა, როგორც წესი, სტაბილური უნდა იყოს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

40. გაკვეთილების ცხრილს ამტკიცებს სკოლის ადმინისტრაცია პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

გაკვეთილების ცხრილი დგება პედაგოგიური მიზანშეწონილობის მოთხოვნათა და მასწავლებლების დროის მაქსიმალური ეკონომიის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

41. სასწავლო-დამხმარე, უმცროსი მომსახურე პერსონალისა და მუშების მუშაობა განისაზღვრება გრაფიკით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით. გრაფიკი უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და მუშაკებს გაეცნოს ხელწერილქვეშ, როგორც წესი, არაუგვიანეს ორი კვირისა, ვიდრე იგი მოქმედებაში შევიდოდეს.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთათვის (მაგალითად, ღამის გადიდებისათვის, აგრეთვე მემანქანეებისათვის ცეცხლფარეშებისათვის იმ სკოლებში, სადაც ცენტრალური გათბობის სისტემა სადღეღამისო მორიგეობას მოითხოვს, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, შეიძლება შემოღებულ იქნას სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა.

მუშების გრაფიკები უნდა ითვალისწინებდეს მუშაკის ყოველკვირეულ შეუწყვეტელ დასვენებას არანაკლებ 42 საათის ხანგრძლივობით. სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის რეჟიმის დროს ყოველკვირეული შეუწყვეტელი დასვენების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 42 საათზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ საალრიცხვო პერიოდში სამუშაოდ — არანაკლებ 42 საათისა.

42. დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში მუშაობა აკრძალულია.

ცალკეული მუშაკების სამუშაოდ გამოყვანა მათთვის დაწესებულ დასვენების დღეებში დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, სკოლის ადმინისტრაციის წერილობითი ბრძანებით (განკარგულებით) პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით. მუშაკს დასვენების დღეს მუშაობის სანაცვლოდ ეძლევა დასვენების სხვა დღე უახლოესი ორი კვირის განმავლობაში.

განუწყვეტლივ მომუშავე დაწესებულებების (სკოლა-ინტერნატების, სანატორიულ-სტყეო სკოლების) მუშაკები და ის მუშაკები, რომლებისთვისაც დაწესებულია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა, სამუშაოზე გამოდიან საერთოდ დაწესებულ დასვენების დღეებშიც და სადღესასწაულო დღეებშიც. ამ დღეებში მუშაობის დრო, როგორც წესი, ითვლება სამუშაო დროის თვიურ ნორმაში. დასვენების დღეები მათთვის გათვალისწინებულია მუშაობის გრაფიკით. სადღესასწაულო დღეებში მუშაობის ხელფასის ანაზღაუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რება მითითებულ შემთხვევაში ხდება ერთმაგი საათობრივი ან დღიური განაკვეთის ოდენობით თვიურ ხელფასზე (განაკვეთზე) გადამეტებით. იმ მუშაკის სურვილისამებრ, რომელმაც სადღესასწაულო დღე იმუშავა, მას შეიძლება მიეცეს დასვენების სხვა დღე.

43. სკოლის ადმინისტრაცია მასწავლებლებსა და სამხედრო ხელმძღვანელებს იყენებს სკოლის მორიგეებად. მორიგეობა უნდა იწყებოდეს სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე არა უადრეს 20 წუთისა და გრძელდებოდეს არა უმეტეს 20 წუთისა გაკვეთილების დამთავრების შემდეგ. მორიგეობის გრაფიკს ამტკიცებს სკოლის დირექტორი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვით და გამოაკრავს სამასწავლებლოში.

აკრძალულია დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში მორიგებად გამოიყენონ ფეხმძიმე ქალები და დედები, რომელთაც ჰყავთ ძუძუმწოვარი ბავშვები.

44. შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის არდადეგების დროს, აგრეთვე საზაფხულო არდადეგების დროს, თუ ისინი არ ემთხვევა მორიგ შვებულებას, სკოლის ადმინისტრაცია პედაგოგიურ მუშაკებს აბამს პედაგოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში იმ დროის ფარგლებში, რომელიც არ აღემატება მათს სასწავლო დატვირთვას არდადეგების დაწყებამდე.

45. პედაგოგიური საბჭოს სხდომები, როგორც წესი, ტარდება სასწავლო მეოთხედში ერთჯერ.

მასწავლებელთა შიდასასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობა ტარდება არა უმეტეს ორჯერ სასწავლო მეოთხედში.

საერთო სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რომლებსაც კომკავშირული, პიონერული და მოსწავლეთა ორგანიზაციები ატარებენ, სკოლის დირექტორი გამოყოფს მასწავლებლებს პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლებად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჩატარებული ღონისძიებებისათვის.

სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომები და შიდასასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობანი, როგორც წესი, არ უნდა გაგრძელდეს 2—3 საათზე მეტს, მშობელთა კრებები — 1,5—2 საათზე მეტს, მოსწავლეთა კრებები და მოსწავლეთა ორგანიზაციების სხდომები — 1 საათზე მეტს, წრეების მეცადინეობას 45 წუთიდან 1,5 საათამდე დრო უნდა დაეთმოს.

46. ყოველწლიური შვებულებების მიცემის რიგს ადგენს სკოლის ადმინისტრაცია პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შე-

თანხმებით. შვებულებათა გრაფიკი დგება ყოველი კალენდარული წლისათვის არაუგვიანეს მიმდინარე წლის 5 იანვრისა და ეცნობა სკოლის ყველა მუშაკს.

მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ, როგორც წესი, ზაფხულის არდადეგების პერიოდში.

სკოლის დირექტორისათვის შვებულების მიცემა ფორმდება სახალხო განათლების შესაბამისი ორგანოს ბრძანებით, ხოლო სკოლის სხვა თანამშრომლებისათვის შვებულების მიცემა — სკოლისადმი ბრძანებით.

47. მასწავლებლებსა და სკოლის სხვა მუშაკებს ეკრძალებათ:

ა) თავიანთი შეხედულებებისამებრ შეცვალონ გაკვეთილების (მეცადინეობათა) ცხრილი და მუშაობის გრაფიკები;

ბ) გაადიდონ ან შეამცირონ გაკვეთილებისა და მათ შორის დაწესებული შესვენებების ხანგრძლივობა.

48. აკრძალულია:

ა) მასწავლებლების, სამხედრო ხელმძღვანელებისა და მოსწავლეთა მოცდენა მეცადინეობისაგან ისეთი სახის სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასწავლო პროცესთან, სასწავლო დროს ჯანმრთელობის, ესთეტიკის, ტურიზმის, ხელოვნების დღეების, სპორტული შეჯიბრებებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად;

ბ) მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების მოცდენა სასწავლო დროს მათი პირდაპირი მოვალეობების შესრულებისაგან სხვადასხვა სახის თათბირებში, სემინარებში, შემოწმებებში მონაწილეობის მისაღებად და სხვ.;

გ) სამუშაო დროს კრებების, სხდომებისა და ყოველგვარი სახის თათბირების მოწვევა საზოგადოებრივი საქმეების გამო.

49. გარეშე პირებს გაკვეთილების დროს კლასში ყოფნა შეუძლიათ მხოლოდ სკოლის დირექტორის ან მისი მოადგილეების ნებართვით. გაკვეთილის დაწყების შემდეგ კლასში შესვლის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვს მხოლოდ დირექტორს ან მის მოადგილეებს.

ნებადართული არ არის გაკვეთილებზე მასწავლებლებისათვის შენიშვნების მიცემა მათი მუშაობის გამო. აუცილებლობის შემთხვევაში ასეთ შენიშვნებს სკოლის ადმინისტრაცია მასწავლებელს აძ-

ლევს გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მოსწავლეების დაუსწრებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## VI. წახალისებანი მუშაობაში წარმატებებისათვის

50. შრომითი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში წარმატებისათვის, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, შრომაში ნოვატორობისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყენებულია შემდეგი სახის წახალისებანი:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) საპატიო დაფაზე შეტანა.

ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ წახალისებას ადმინისტრაცია იყენებს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ წახალისებას — იმავე კომიტეტთან ერთობლივად.

მუშაობაში მოპოვებული ზემოჩამოთვლილი მიღწევებისათვის სკოლის ადმინისტრაციას, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად, შეუძლია სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოს წარმოუდგინოს მუშაკები პრემიის მისაცემად, ფასიანი საჩუქრით, საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად, საპატიო წიგნში შესატანად.

წახალისება ცხადდება ბრძანებით ან განკარგულებით, ეცნობება სკოლის მთელ კოლექტივს და შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში.

51. იმ მუშაკებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს, პირველ რიგში ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და ა. შ.).

52. განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის სკოლის მუშაკებს წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად, „დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად და სხვა სახის წახალისებათა მისაღებად.

## VII. სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. შრომის დისციპლინის დარღვევა ე. ი. მუშაკის მიზეზით მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება იწვევს მასზე დისციპლინური სასჯელის დადებას ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიღებას.

54. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური სასჯელები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა სამ თვემდე ვადით ან უფრო დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება იმავე ვადით;

ე) სამუშაოდან განთავისუფლება.

პედაგოგიური მუშაკების მიმართ ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელი არ გამოიყენება.

სამუშაოდან განთავისუფლება მუშაკის მიმართ დისციპლინურ სასჯელად შეიძლება გამოყენებულ იქნას შრომითი ხელშეკრულებით, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით, შრომის შინაგანაწესით; სკოლის დებულებით ან თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობების სისტემატურად, საპატიო მიზეზების გარეშე შეუსრულებლობისათვის, თუ ამ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინარული ან საზოგადოებრივი სასჯელის ზომები, აგრეთვე არასაპატიო მიზეზებით გაცდენებისათვის. ხელმძღვანელი და პედაგოგიური მუშაკების დათხოვნა ამ შემთხვევაში ხდება სახალხო განათლების შესაბამისი ორგანოს მიერ სკოლის ადმინისტრაციის წარდგინებით.

გაცდენად ითვლება მთელი სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე გამოუცხადებლობა არა საპატიო მიზეზის გამო. ზუსტად ასევე გამცდენებად ითვლებიან ის მუშაკები, რომლებიც სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი გამოცხადდებიან.

55. დისციპლინურ სასჯელს ადებენ სკოლის დირექტორი, აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოების შესაბამისი თანამდებობის პირები მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

სკოლის ადმინისტრაციას უფლება აქვს, დისციპლინური სასჯელის დადების ნაცვლად, შრომის დისციპლინის დარღვევის საკი-

თხი განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

დისციპლინურ სასჯელს სკოლის დირექტორებს, მათ მოადგილეებსა და უფროს ბუხჰალტრებს ადებს სახალხო განათლების ის ორგანო, რომელსაც უფლება აქვს დანიშნოს და გაათავისუფლოს ეს მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მუშაკებს, რომლებიც არჩეული არიან პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობაში, არ შეიძლება დაედოთ დისციპლინური სასჯელი ადგილობრივ კომიტეტთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, ხოლო ამ კომიტეტის თავმჯდომარეს და პროფორგანიზატორს — ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოსთან წინასწარ შეთანხმების გარეშე.

56. სასჯლის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს წერილობითი ან ზეპირი ახსნა-განმარტება.

ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს უშუალოდ დანაშაულის გამომჟღავნების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა მისი გამომჟღავნების დღიდან, ამასთან, ამ ვადაში არ ითვლება მუშაკის ავადმყოფობის დრო ანდა მისი შვებულებაში ყოფნა.

დისციპლინური სასჯელის დადება არ შეიძლება დანაშაულის ჩადენის დღიდან ექვს თვეზე მეტი ხნის გავლის შემდეგ.

57. შრომის დისციპლინის თითოეული დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

58. დისციპლინური სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ვითარება, რომელშიც ის იქნა ჩადენილი, მუშაკის მუშაობა და ქცევა დანაშაულის ჩადენამდე.

59. დისციპლინური სასჯელი ქვეყნდება ბრძანებით და მუშაკს ხელწერილქვეშ ეცნობება სამი დღის ვადაში.

ბრძანება გაეცნობა ამ სკოლის ყველა უშაკს.

60. თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშაკს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, მაშინ იგი დისციპლინური სასჯელის არმქონედ ითვლება.

ადმინისტრაციას შეუძლია გამოსცეს ბრძანება დადებული სასჯელის მოხსნის შესახებ ისე, რომ ერთი წელი არ იყოს გავლილი, თუ მუშაკმა ხელახლად არ დაარღვია შრომის დისციპლინა და, ამასთან, თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

УТВЕРЖДАЮ:
Министр просвещения СССР
М. ПРОКОФЬЕВ
«20» июня 1974 года

СОГЛАСОВАНО:
Председатель ЦК профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений
Т. ЯНУШКОВСКАЯ
«20» июня 1974 года

# ПРАВИЛА ВНУТРЕННЕГО ТРУДОВОГО РАСПОРЯДКА ДЛЯ РАБОТНИКОВ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ СИСТЕМЫ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ СССР

## I. Общие положения

1. В соответствии со статьей 130 Конституции Союза Советских Социалистических Республик каждый гражданин СССР обязан блюсти дисциплину труда.

Трудовая дисциплина обеспечивается методами убеждения, а также поощрения за добросовестный труд. К нарушителям трудовой дисциплины применяются меры дисциплинарного и общественного воздействия.

2. Настоящие Правила внутреннего трудового распорядка распространяются на общеобразовательные школы всех типов (начальные, восьмилетние, средние школы и школы-интернаты, вечерние (сменные), заочные, санаторно-лесные, специальные школы) системы Министерства просвещения СССР.

3. На основе настоящих Правил администрация школы по согласованию с местным комитетом профессионального союза устанавливает правила внутреннего трудового распорядка применительно к условиям работы данной школы.

4. Все вопросы, связанные с применением правил внутреннего трудового распорядка, решаются администрацией в пределах предоставленных ей прав, а в случаях, предусмотренных действующим законодательством и правилами внутреннего трудового распорядка, совместно или по согласованию с местным комитетом профсоюза.

ეროვნული

თხი განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზო-
გადოებრივ ორგანიზაციას.

დისციპლინურ სასჯელს სკოლის დირექტორებს, მათ მოადგი-
ლეებსა და უფროს ბუხჰალტრებს ადებს სახალხო განათლების ის
ორგანო, რომელსაც უფლება აქვს დანიშნოს და გაათავისუფლოს
ეს მუშაკები.

იმ მუშაკებს, რომლებიც არჩეული არიან პროფკავშირის ადგი-
ლობრივი კომიტეტის შემადგენლობაში, არ შეიძლება დაედოთ
დისციპლინური სასჯელი ადგილობრივ კომიტეტთან წინასწარ შე-
თანხმების გარეშე, ხოლო ამ კომიტეტის თავმჯდომარეს და პროფ-
ორგანიზატორს — ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოსთან წინას-
წარ შეთანხმების გარეშე.

56. სასჯლის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს
უნდა მოეთხოვოს წერილობითი ან ზეპირი ახსნა-განმარტება.

ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს უშუალოდ
დანაშაულის გამომჟღავნების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ერთი
თვისა მისი გამომჟღავნების დღიდან, ამასთან, ამ ვადაში არ ითვლება
მუშაკის ავადმყოფობის დრო ანდა მისი შვებულებაში ყოფნა.

დისციპლინური სასჯელის დადება არ შეიძლება დანაშაულის
ჩადენის დღიდან ექვს თვეზე მეტი ხნის გავლის შემდეგ.

57. შრომის დისციპლინის თითოეული დარღვევისათვის შეიძ-
ლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

58. დისციპლინური სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ
უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ვითარება, რომელშიც
ის იქნა ჩადენილი, მუშაკის მუშაობა და ქცევა დანაშაულის ჩადე-
ნამდე.

59. დისციპლინური სასჯელი ქვეყნდება ბრძანებით და მუშაკს
ხელწერილქვეშ ეცნობება სამი დღის ვადაში.

ბრძანება გაეცნობა ამ სკოლის ყველა უშაკს.

60. თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის
განმავლობაში მუშაკს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი,
მაშინ იგი დისციპლინური სასჯელის არმქონედ ითვლება.

ადმინისტრაციას შეუძლია გამოსცეს ბრძანება დადებული სას-
ჯელის მოხსნის შესახებ ისე, რომ ერთი წელი არ იყოს გავლილი,
თუ მუშაკმა ხელახლად არ დაარღვია შრომის დისციპლინა და, ამას-
თან, თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუ-
შაკმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

УТВЕРЖДАЮ:
Министр просвещения СССР
М. ПРОКОФЬЕВ
«20» июня 1974 года

СОГЛАСОВАНО:
Председатель ЦК профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений
Т. ЯНУШКОВСКАЯ
«20» июня 1974 года

# ПРАВИЛА
# ВНУТРЕННЕГО ТРУДОВОГО РАСПОРЯДКА ДЛЯ РАБОТНИКОВ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ СИСТЕМЫ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ СССР

## I. Общие положения

1. В соответствии со статьей 130 Конституции Союза Советских Социалистических Республик каждый гражданин СССР обязан блюсти дисциплину труда.

Трудовая дисциплина обеспечивается методами убеждения, а также поощрения за добросовестный труд. К нарушителям трудовой дисциплины применяются меры дисциплинарного и общественного воздействия.

2. Настоящие Правила внутреннего трудового распорядка распространяются на общеобразовательные школы всех типов (начальные, восьмилетние, средние школы и школы-интернаты, вечерние (сменные), заочные, санаторно-лесные, специальные школы) системы Министерства просвещения СССР.

3. На основе настоящих Правил администрация школы по согласованию с местным комитетом профессионального союза устанавливает правила внутреннего трудового распорядка применительно к условиям работы данной школы.

4. Все вопросы, связанные с применением правил внутреннего трудового распорядка, решаются администрацией в пределах предоставленных ей прав, а в случаях, предусмотренных действующим законодательством и правилами внутреннего трудового распорядка, совместно или по согласованию с местным комитетом профсоюза.

5. В СССР обеспечен свободный выбор рода работы и профессии с учетом интересов общества. Рабочие и служащие реализуют право на труд путем заключения трудового договора о работе на предприятии, в учреждении, организации.

6. При приеме на работу администрация школы обязана потребовать от поступающего:

а) представления трудовой книжки, а если данное лицо поступает на работу впервые — представления справки о последнем занятии, выданной по месту жительства соответствующим жилищно-коммунальным органом, сельским или поселковым Советом депутатов трудящихся, уличным комитетом;

б) предъявления паспорта.

Лица, принимаемые на работу, требующую специальных знаний (педагогические, медицинские работники, библиотекари, шоферы и др.), обязаны представить соответствующие документы об образовании или профессиональной подготовке: диплом, аттестат, удостоверение, копии которых, заверенные администрацией, должны быть оставлены в личном деле.

Молодые специалисты, окончившие высшие или средние специальные учебные заведения с отрывом от производства, до истечения трех лет после их окончания принимаются на работу только при наличии удостоверения о направлении на работу установленного образца или справки учебного заведения о предоставлении возможности самостоятельно устраиваться на работу.

Лица, поступающие на работу в школы (кроме вечерних сменных (и заочных школ), обязаны также представить медицинское заключение об отсутствии противопоказаний по состоянию здоровья для работы в детском учреждении.

Прием на работу в школу без предъявления вышеперечисленных документов не допускается. Администрация школы не вправе требовать предъявления документов, помимо предусмотренных законодательством.

На всех принимаемых в школу работников (в том числе назначенных органом народного образования) директор школы издает приказ о приеме. Приказ объявляется работнику под расписку.

7. На лиц, поступивших на работу впервые, заполняются трудовые книжки не позднее пяти дней после приема на работу.

На работающих по совместительству трудовые книжки ведутся по основному месту работы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

При заполнении трудовых книжек следует руководствоваться Инструкцией о порядке ведения трудовых книжек на предприятиях, в учреждениях и организациях.

Трудовые книжки работников хранятся как бланки строгой отчетности в школе, а при отсутствии соответствующих условий для их хранения — в районном (городском) отделе народного образования.

8. На каждого учителя и другого педагогического работника ведется личное дело, которое состоит из личного листка по учету кадров, автобиографии, копии документа об образовании, материалов по результатам аттестации, медицинского заключения об отсутствии противопоказаний для работы в детском учреждении, выписок из приказов по отделу народного образования и школе о назначении, перемещении, поощрении и увольнении.

Личное дело хранится в школе или в районном (городском) отделе народного образования. После увольнения работника его личное дело остается в школе или в отделе народного образования.

9. При приеме работника или при переводе его в установленном порядке на другую работу администрация школы обязана:

а) ознакомить его с порученной работой, условиями труда и разъяснить его права и обязанности;

б) ознакомить его с правилами внутреннего трудового распорядка, проинструктировать по технике безопасности, производственной санитарии и противопожарной охране.

10. Перевод работников на другую постоянную работу должен производиться в строгом соответствии с законом, только с их согласия.

11. Прекращение трудового договора может иметь место только по основаниям, предусмотренным законодательством.

ბიოლოგიაში ნატურალისტთა მუშაობის ამსახველი მასალები უვარგისია და სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ღონისძიებები ბიოლოგიაში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება გალის მე-2 საშუალო, ხელვაჩაურის რაიონის მახვილაურის რვაწლიან, ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო, ცხინვალის რაიონის ძარწემისა და თამარაშენის საშუალო, ქ. თბილისის 82-ე, 24-ე, 144-ე საშუალო, ქ. რუსთავის მე-17, ამბროლაურის 1-ლი, ზუგდიდის რაიონის კორცხელის საშუალო და სხვა სკოლებში.

ბიოლოგიაში ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებები არ ხორციელდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ნორჩ ნატურალისტთა სადგურების მიერ (დირექტორები ე. ხაგბა, ა. მიქელაძე, მ. თედეევა); მათ სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის: სკოლებში ნორჩ ნატურალისტთა წრეების ჩამოყალიბების ორგანიზაციისა და შინაარსის, საცდელი და ექსპერიმენტალური მუშაობისათვის თემატიკის შერჩევის; ლაბორატორიული და ჩამოსარიგებელი თვალსაჩინო მასალებით, ნერგებითა და და თესლებით სკოლების უზრუნველყოფის, აგრეთვე II—IV კლასების ბუნებისმცოდნეობის V—VI კლასების ბოტანიკის, VI—VII კლასების ზოოლოგიისა და IX—X კლასების ზოგადი ბიოლოგიის მასწავლებლებთან, საგნების მიხედვით, სემინარული მუშაობის ჩატარება და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც აამაღლებს ბიოლოგიის მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონეს, სრულყოფს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობას.

ნორჩ ნატურალისტთა სადგურების ნახევარწლიური სამუშაო გეგმები გულდასმით არ იხილება და ზოგჯერ არ მტკიცდება აფხა-

ზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებისა და ალკკ საოლქო კომიტეტების მიერ. ნორჩ ნატურალისტთა სადგურების მუშაობის მთავარი ნაკლი ისიც არის, რომ მათი მუშაკები დახმარების მიზნით იშვიათად უკავშირდებიან საბავშვო დაწესებულებებს. შემოწმების პერიოდში გამოვლინდა ისეთი სკოლები, რომლებმაც არც კი იციან ავტონომიური რესპუბლიკებსა და ოლქებში მორჩ ნატურალისტთა სადგურების არსებობა და მათი ფუნქციები.

ზოგიერთ სკოლაში მასწავლებელთა შორის უპასუხისმგებლოდ ნაწილდება ბიოლოგიის გაკვეთილები: ჯავის რაიონის კვაისის საშუალო სკოლის IX კლასში ზოგადი ბიოლოგიის საათები, განაკვეთის შევსების მიზნით, მიცემული აქვს ქიმიის მასწავლებელ ს. ბაიაზოვას, რომელიც, ამავე დროს, ლაბორანტადაც მუშაობს. ხელვაჩაურის რაიონის ზედა თხინვალის რვაწლიან სკოლაში ბიოლოგიის 12 საათი სამ მასწავლებელზეა განაწილებული. მსგავსი მდგომარეობაა ახალშენის საშუალო სკოლაში. ამ სკოლას მუშაობის ნორმალური პირობები არ ჰქონდა 1973—1974 სასწავლო წლის ზამთარში გათბობის სისტემის ტექნიკურად გაუმართაობის გამო.

დირექტორები და განათლების განყოფილების გამგეები ზოგჯერ არ ზრუნავენ მასწავლებლის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, დროებით შემცვლელი მასწავლებლის დანიშვნისათვის; ქობულეთის რაიონის ციხისძირის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ვ. ხალვაში) დასახელებული მიზეზით ბიოლოგიის გაკვეთილები არ ტარდებოდა 1973 წლის დეკემბრიდან 1974 წლის თებერვლამდე. სკოლა რაიონის ცენტრიდან დაცილებულია 2—3 კილომეტრით და შემცვლელი მასწავლებლის გამონახვა არავითარ სიძნელესთან არ იყო დაკავშირებული.

გაკვეთილების ცხრილის შედგენის დროს ზოგიერთი სკოლის ადმინისტრაციის მიერ არ სრულდება ძნელად შესათვისებელი საგნებისათვის ცხრილში ადგილის მიჩენისა და სასწავლო გეგმით საგნის სწავლებისათვის განკუთვნილ საათებს შორის შუალედების გათვალისწინების დადგენის წესი. მაგ. ბობოყვათის საშუალო სკოლაში ზოგადი ბიოლოგია IX კლასში, რომელსაც სასწავლო გეგმით მხოლოდ ერთი გაკვეთილი ეთმობა, ცხრილში მე-6 გაკვეთილად არის შეტანილი. წინსვლის საშუალო სკოლაში ბოტანიკის გაკვეთილები, შუალედის გარეშე, პარასკევის და შაბათის ცხრილშია შეტანილი, ანალოგიური მდგომარეობაა მახვილაურის რვაწლიან და ზოგიერთ სხვა სკოლაში.

დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში საკმარის დახმარებას ვერ უწევენ და იშვიათად ამოწმებენ ბიოლოგიის მასწავლებლების საქმიანობას როგორც გაკვეთილზე, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები ხშირად ჰუმანიტარული საგნების სპეციალისტები არიან და უძნელდებათ ბიოლოგიის მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი ბიოლოგიის გაკვეთილებს ისმენს, მაგრამ ჩანაწერები არ ასახავს გაკვეთილის ავკარგიანობას და უშინაარსოა. დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ისტორიკოსები არიან ონის 1-ლი საშუალო სკოლაში; დირექტორი და მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ფილოლოგებია. ქ. თბილისის 82-ე საშუალო სკოლაში. დირექტორი ისტორიკოსია , მოადგილე ფილოლოგი ქ. თბილისის 65-ე სკოლაში, ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო, ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის საშუალო, ზუგდიდის რაიონის კორცხელის საშუალო, ყვარლის მე-3 საშულო სკოლებში. დირექტორი ფილოლოგია, მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში — ისტორიკოსი ქ. თბილისის 126-ე საშუალო, სოხუმის რაიონის ეშერის საშუალო, მარნეულის რაიონის თამარისის საშუალო სკოლებში. ანალოგიური მდგომარეობაა ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის, ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო, ქ. თბილისის 62-ე, 144-ე საშუალო და სხვა სკოლებში.

1973—1974 სასწავლო წლის I და II მეოთხედებში ბიოლოგიის გაკვეთილები არ მოუსმენია ზნაურის ქართული საშუალო, გაგრის მე-3 საშუალო, ქ. თბილისის 24-ე საშუალო და სხვ. სკოლების დირექტორებს. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში 2—3 გაკვეთილი აქვთ მოსმენილი გაგრის რაიონის ხეივნის მე-2 საშუალო, სოხუმის, რაიონის ახალსოფლისა და ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლების დირექტორებსა და მათ მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და სხვა. დასახელებული და ზოგიერთი სხვა სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გაკვეთილზე დასწრების დროს ყურადღებას არ ამახვილებენ დემონსტრაციებისა და ლაბორატორიული მუშაობის, ცდების ჩატარების, თვითნაკეთი ხელსაწყოებით სარგებლობისა და სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ამ საგნის სწავლებისათვის აუცილებელი და სპეციფიურია. გაკვეთილის ანალიზის

დროს ისინი არ მიუთითებენ იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებიც
საჭიროა კაბინეტ-ლაბორატორიული სამუშაოებისა და ცდების ჩატა-
რების დროს. ამის გამო გაკვეთილზე დასწრების ჩანაწერები მ[illegible]
ვერ აღწევს და არავითარ დახმარებას არ უწევს მასწავლებელს.

ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებები, რომელთაც ბიოლოგიის სწავლებაში აქვს ად-
გილი, პირველ რიგში იმის შედეგია, რომ განათლების განყოფილე-
ბები სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მასწავლებელთა და-
ხელოვნებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. მათ არა
აქვთ რაიონის ბიოლოგიის მასწავლებელთა შესახებ დემოგრაფიული
ცნობები, სადაც ნახსენები უნდა იყოს, რომელი სასწავლებელი დაამ-
თავრა და როდის, რა სპეციალობა მიიღო და პედაგოგიური დახე-
ლოვნების ან კვალიფიკაციის ამაღლების რომელი კურსები მოისმი-
ნა; განათლების განყოფილებებს იშვიათად აქვთ კურსებზე გასა-
გზავნ მასწავლებელთა გეგმა და მისი შესრულების ცნობები; წლე-
ბის მიხედვით კურსებზე გასაგზავნ მასწავლებელთა საორიენტაციო
გეგმა, აგრეთვე სიები ახალგაზრდა და დამწყებ მასწავლებელთა
შესახებ, რომლებიც პედაგოგიურ და მეთოდურ დახელოვნებას
საჭიროებენ და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამ-
ხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილე-
ბათა გამგეებმა (ამხ. ამხ. თ. კოლონია, ვ. წულუკიძე, გ. ძაგოევი,
თ. ეგაძე):

ა) კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომე-
ბზე განიხილონ ბრძანება — „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესე-
ბის ღონისძიებათა შესახებ“. დაავალონ განათლების განყოფილებათა
გამგეებს, გაატარონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორების
უზრუნველსაყოფად;

ბ) დასაჯონ განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური კა-
ბინეტების ის გამგეები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ბიოლოგიის
კურსის სწავლებაში სიახლეებს და არადამაკმაყოფილებლად ხელ-
მძღვანელობენ ამ საგნის სწავლების საქმეს;

გ) შეამოწმონ სკოლების ბიოლოგიის კაბინეტებითა და სასწა-
ვლო—საცდელი ნაკვეთებით უზრუნველყოფის მდგომარეობა. შედე-
გების მიხედვით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

დ) პერიოდულად შეამოწმონ ბიოლოგიის სწავლების მდგომა-

რეობა და მიღებულ ღონისძიებათა შესრულებაზე დააწესონ სათანადო კონტროლი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) 1974—1975 სასწავლო წლის 1 მარტამდე აცნობონ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად მათ მიერ გატარებული ღონისძიებებისა და შედეგების შესახებ.

## II განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის დირექტორები:

1) გულდასმით გაეცნონ განათლების სამინისტროს ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, განიხილონ იგი სახალხო განათლებისა და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, ღრმა ანალიზი გააკეთონ ნაკლოვანებათა შესახებ, განსაზღვრონ მათი გამოსწორების რეალური საშუალებები.

2) მკაცრად დასაჯონ ის მასწავლებლები და სკოლის სხვა მუშაკები, რომლებიც სისტემატურად არ ზრუნავენ ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისათვის, უგულებელყოფენ ლაბორატორიულ და საცდელ მუშაობას, გაკვეთილებს თვალსაჩინოების გამოუყენებლად ატარებენ.

3) იზრუნონ ბიოლოგიის ნორმალურად სწავლებისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის შესაქმნელად — სკოლები უზრუნველყონ კაბინეტებითა და სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით. აითვისონ სასწავლო იარაღებისა და მოწყობილობათა შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

4) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 23 აგვისტოს № 463 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციულ-მეთოდური წერილით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ, აღმოფხვრან მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის საქმეში ზერელობა და ფორმალიზმი. მეთოდური გაერთიანების სამუშაო გეგმებში პირველ რიგში ასახონ ახალი სასწავლო პროგრამებით მუშაობის, სადემონსტრაციო, ლაბორატორიული და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე ექსპერიმენტული მუშაობის, კლასგარეში და სკოლისგარეშე დაწესებულებების ღონისძიებაში მონაწილეობისა და სხვა საკითხები.

5) სისტემატურად აკონტროლონ სასწავლო პროგრამის გავლის მდგომარეობა და მასალის შეთვისების ხარისხი, სასწავლო წლის

მეოთხედების მიხედვით ღრმა ანალიზი გაუკეთონ საგნის სწავლების მდგომარეობასა და ჩამორჩენის შემთხვევაში გაატარონ სასწრაფო ღონისძიებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6) წინასწარ გაეცნონ ბიოლოგიის საპროგრამო მასალას და საფუძვლიანად მოემზადონ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებისათვის. გაითვალისწინონ ლაბორატორიული მუშაობის, ცდების ჩატარებისა და თვალსაჩინოების გამოყენებისათვის გაკვეთილის მომზადების პირობები, ანალიზში ყურადღება გაამახვილონ გაკვეთილის მსვლელობის ავკარგიანობაზე, სწავლების მეთოდებზე, ხოლო მითითებებმა ასახოს გაკვეთილის სრულყოფილად ჩატარების გზები და საშუალებები.

7) ძირეულად გარდაქმნან ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა, რისთვისაც მტკიცე კავშირი დაამყარონ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებთან. მონაწილეობა მიიღონ შრომისა და დასვენების ბანაკების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, ბუნების ნორჩი მეგობრის* საზოგადოებისა და ნორჩ ნატურალისტთა მუშაობის შემაჯამებელ კონკურსებში, გამოფენებსა და შემოქმედებით ხასიათის რესპუბლიკურ ღონისძიებებში:

8) გადასინჯონ გაკვეთილების ცხრილები და მათში ცვლილებების დროს მტკიცედ დაიცვან მხოლოდ სკოლისა და საგნის სწავლების ინტერესები.

## III ბიოლოგიის მასწავლებლებმა:

1) ყოველი გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთათვის მიცემულ საშინაო დავალებათა შესრულების ხარისხს, რომელიც განსაზღვრავს მათი მუშაობის შედეგებს. ახალი გაკვეთილის ახსნისას მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები გადაცემულ მასალას ძირითადად გაკვეთილის პროცესში სწავლობდნენ.

2) ბიოლოგიის ახალი კურსის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის მტკიცე კავშირი დაამყარონ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერებთან. მათი დახმარებით ცოცხალი ბუნების კუთხეებსა და სასწავლო საცდელ ნაკვეთებზე ჩაატარონ ცდები და დაკვირვებები.

3) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის და ნერგვისა და სიახლეების ძიებისადმი მათ სწრაფვას, სისტემატურად იზრუნონ მოსწავლეების

მოსამზადებლად ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა როგორც სკოლაში, ისე სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში, იზრუნონ ნატურალისტური მუშაობისათვის თემატიკის შედგენისა და მისი განხორციელებისათვის.

5). პროგრამის მიხედვით კვალიფიციურად მოამზადონ და ჩაატარონ სასწავლო და საწარმოო ხასიათის ექსკურსიები მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ტყეებში, ბოტანიკურ და ზოოლოგიურ პარკებში, შეაგროვონ თვალსაჩინოებისათვის მასალები — ჰერბარიუმები, კოლექციები, სველი პრეპარატები და სხვ. ღრმა ანალიზი გაუკეთონ შედეგებს.

6) დადგენილი წესის მიხედვით ჩაატარონ საკონტროლო წერები ბიოლოგიაში, გულდასმით გაასწორონ ნამუშევრები, არ დაუშვან ლიბერალიზმი მოსწავლეთა შეფასების დროს. წერის ნიშნები შეიტანონ საკლასო ჟურნალში და გაითვალისწინონ მეოთხედური და წლიური ნიშნების გამოყვანის დროს.

7) სრული წესრიგი დაამყარონ ბიოლოგიის კაბინეტებსა და სასწავლო — საცდელ ნაკვეთზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცოცხალი ბუნების კუთხეებში ზოოლოგიის კურსის შესასწავლად ცხოველთა სხვადასხვა სახეობების შეძენის საქმეს. ნაკვეთზე მოაწყონ სასათბურო მეურნეობა (კვალსათბურები მაინც).

8) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობის საქმეს. ამ ღონისძიების გატარების პერიოდში მტკიცე კავშირი დაამყარონ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მშობლებთან და მოსწავლეთა კომიტეტებთან.

9) კლასების მიხედვით საპროგრამო მასალებიდან გამოყონ საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების იდეურ-პოლიტიკური და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას. ამ მასალაზე მუშაობის დროს დაუკავშირდნენ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებს.

10) არ დაუშვან თვალსაჩინოების გარეშე გაკვეთილის ჩატარების არცერთი შემთხვევა, შეასრულონ პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები, ცდები და პრაქტიკულები.

11) შექმნან პირობები სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებისათვის, მოსწავლეებში დანერგონ თვალსაჩინოებისათვის ხელსაწყო-იარაღების თვითკეთების პრაქტიკა.

12) სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ საშინაო რვეულების წარმოების საქმეს; სისტემატური ყურადღება მიაქციონ რვეულებში სალექსიკონო მასალების, ბიოლოგიური ტერმინების , ცხრილების და სქემების შეტანის საქმეს. ამ დავალების შესრულების შედეგი გაითვალისწინონ ნიშნის დაწერის დროს.

13) არ დაუშვან საპროგრამო მასალის შესწავლისათვის გეგმით გათვალისწინებული საათების თვითნებურად შემცირება ან გადიდება. ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ სკოლის ადმინისტრაციის ოფიციალური თანხმობა.

IV აღინიშნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ა ოლქისა და შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და კონტროლი ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების საქმისადმი.

V ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებისა და ოლქის განათლების განყოფილების გამგის მიერ გაძლიერდეს ხელმძღვანელობა და დახმარება მათდამი დაქვემდებარრებულ ნორჩ ნატურალისტთა სადგურების მუშაობაზე. საჭირო ღონისძიებები განხორციელდეს იმისათვის, რომ ნატურალისტთა სადგურები გახდნენ ბიოლოგიის მასწავლებელთა მეთოდური დახმარების ცენტრები, განსაკუთრებით სკოლებში ლაბორატორიული, კვლევითი და საცდელი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

VI აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ვ. წულუკიძემ) განიხილოს ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის საშუალო სკოლის გათბობის სისტემის მოწესრიგების საკითხი. 1974—1975 სასწავლო წლისათვის შეუქმნას სკოლას ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობები.

VII ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. რ. ჯინჭარაძემ) 1974—1975 სასწავლო წლის I მეოთხედში შეამოწმოს ციხისძირის რვაწლიან სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი.

VIII საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა (ამხ. გ. თავაძემ) და პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ნატურალისტური მუშაობის განყოფილებამ (ამხ. ა. ჭკადუამ) გააძლიერონ დახმარება სკოლების ნორჩ ნატურალისტთა წრეების, სასწავლო-საწარმოო ბრიგადების, ბუნების ნორჩ მეგობართა

საზოგადოების, შრომისა და დასვენების ბანაკებისა და სასკოლო საწარმოო ორგანიზაციების მუშაობაზე.

IX ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. [illegible]) 1974 წლის პირველ სექტემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს წინადადება 1974—1975 სასწავლო წლისათვის თბილისის ერთ სკოლაში ბიოლოგიის გაძლიერებული სწავლების შესახებ

X განათლების სამინისტროს მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ლ. მნათობიშვილმა) 1974—1975 სასწავლო წლის II მეოთხედში, შერჩევით, სამ რაიონში შეამოწმოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1971 წლის 23 აგვისტოს ბრძანების შესრულების მდგომარეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ. შედეგები განსახილველად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

XI სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ) ბიოლოგიის სასწავლო მეთოდურ საბჭოსთან ერთად მოაწყოს საექსპერიმენტო სკოლის VI—VII კლასებისათვის გამოცემული ზოოლოგიის სახელმძღვანელოს მაკეტის (ავტორები მ. ღარიბაშვილი და ა. ჯანაშვილი) და „საკლასო სავარჯიშო რვეულები ზოოლოგიაში" (ავტორი მ. ღარიბაშვილი) განხილვა და წარმოადგინოს დასკვნა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს მაკეტისა და საკლასო სავარჯიშო რვეულის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გამოყენების შესახებ.

XII სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

1) სკოლებს მისცეს სათანადო მითითება სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ნორჩ ნატურალისტთა წრეების ორგანიზაციისა და შინაარსის შესახებ.

2) მოამზადოს საკითხი თბილისის ერთ სკოლაში ბიოლოგიის გაძლიერებულად სწავლების შემოღების შესახებ და 1974—1975 სასწავლო წლის დასაწყისისათვის განსახილველად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

3) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე. 1974—1975 სასწავლო წლის III მეოთხედში გაითვალისწინოს მისი შესრულების მდგომარეობის შემოწმება 3—4 რაიონში, შედეგები წარმოუდგინოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 15 აგვისტოს დადგენილება.

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 2 ივლისის ბრძანება № 517

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ XXIV ყრილობის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე სწავლების ხარისხის ამაღლების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება დედაენასა და მშობლიურ ლიტერატურას, რადგან კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა ამ საგნების სრულყოფილად სწავლების გარეშე შეუძლებელია.

ყოველივე ეს კარგად აქვს შეგნებული რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელებისა და მოწინავე მასწავლებელთა ერთ ნაწილს. ისინი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების წინაშე დასმული ამოცანების განსახორციელებლად, ეწევიან ყოველდღიურ პრაქტიკულ-შემოქმედებით საქმიანობას, ატარებენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ საგნების სწავლების მაღალი დონის მისაღწევად, რის შედეგადაც გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული.

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა დამაკმაყოფილებლად იცის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალა, კითხულობს სწრაფად და გამომეტყველებით, წერს სუფთად და სწორად, აქვს თხრობის მყარი უნარ-ჩვევები.

ბევრი სკოლის IV—VIII კლასების მოსწავლეები არა მარტო ფლობენ ქართული ენის გრამატიკის კურსით გათვალისწინებულ შესასწავლ მასალებს, დამაკმაყოფილებლად იციან წინადადებათა მორფოლოგიური და სინტაქსური გარჩევა, მართლწერის ძირითადი საკითხები, არამედ, რაც მთავარია, მოხერხებულად იყენებენ მათ წერითსა და ზეპირ მეტყველებაში.

IV—VIII კლასების ბევრ მოსწავლეს უყვარს წიგნი, შეჩვეულია მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებლად კითხვას, ერკვევა მის იდეურ შინაარსსა და მხატვრულ მხარეში, აქვს წაკითხულის მწყობრი, ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობის უნარ-ჩვევები. VIII, IX—X (XI) კლასების ბევრი მოსწავლე მკვიდრ ინტერესს იჩენს ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შესწავლისადმი, მყარი ცოდნა აქვს მრავალსაუკუნოვანი მშობლიური ლიტერატურის განვითარების გზების, მისი კლასიკოსების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ერკვევა მხატვრული ლიტერატურის, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმის არსსა და ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაში. მხატვრული ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი ანალიზისას ავლენს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის მაღალ დონეს.

მაგრამ, ამავე დროს, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში მთელი რიგი სერიოზული, არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. საინსპექტორო მასალები, ლიტერატურის ოლიმპიადებსა და საგაზაფხულო გამოცდებზე ოქროს მედლით დასაჯილდოებელ კანდიდატ-მოსწავლეთა მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზი და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნებული არაერთი წერილი ცხადყოფს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ძალზე ბევრ ნაკლოვანებას აქვს ადგილი.

დაწყებით კლასებში, განსაკუთრებით კი სოფლის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლებისა და რვაწლიანი სკოლების დაწყებით კლასებში, არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მშობლიური ენა. მოსწავლეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ცუდად იცის პროგრამული მასალები, უჭირს სწრაფი, გამართული კითხვა (ზოგჯერ კითხულობს ჩათვლითაც), ლამაზად, სუფთად და შინაარსიანად წერა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შემდგომი უფროს კლასებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, და არა მარტო მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე.

IV—VIII კლასებში არ ტარდება ქმედითი ღონისძიებანი ქართული ენის სწავლებისათვის საჭირო სასწავლო-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. სკოლებს დიდი რაოდენობით აკლიათ გრამატიკული ტაბულები, სქემები, ამის გამო გრამატიკული მასალა ისწავლება ზეპირსიტყვიერად, ფორმალურად; მოსწავლეებმა იციან მართლ-

წერის წესები და გრამატიკაში შესწავლილი სხვა თეორიული საკითხები, მაგრამ არა აქვთ მათი პრაქტიკაში გამოყენების ცოდნა-ჩვევები. არასაკმაო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა წერით ნა-შევრებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებასა და ანალიზს. მოს-წავლეთა არცთუ მცირე ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს მხა-ტვრული ლიტერატურის დამოუკიდებელი კითხვისადმი. იფარგლე-ბა მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებებით, უარეს შემთხვევაში კი მათაც არ კითხულობს.

არადამაკმაყოფილებელია VIII—IX—X (XI) კლასების ბევრი მოსწავლის მომზადება ქართულ ლიტერატურაში. ისინი არასაკმაოდ იცნობენ მშობლიური ლიტერატურის განვითარების გზას, კლასი-კოს მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებას, მხატვრული ნაწა-რმოების ტექსტს, საჭირო სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურასა და ძირითადად იფარგლებიან სახელმძღვანელოთი, ზოგჯერ კი მასაც არ კითხულობენ, ცდილობენ წერით გამოცდებზე დადებითი შეფა-სება „შპარგალკების" მეშვეობით მიიღონ, რაც სახელს უტეხს სკო-ლასა და მასწავლებელს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილის მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მნი-შვნელოვანწილად იმითაც აიხსნება, რომ ცოცხალი, ქმედითი მუ-შაობა არ ტარდება მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დონის ასამაღლებლად: ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებას, მართლმეტყველებისა და მართლწერის წესების დაცვას, წინადადებაში სიტყვათა წესიერად შეწყობას, ზეპირ სავარჯიშოებსა და წერით სამუშაოებს, ლიტერა-ტურის თეორიის საკითხებს, გრამატიკის კურსში შესწავლილი თეო-რიული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას, წერითი მუშაობის სახე-ების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესრულებას.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად, მხატვრული ლიტერატურით მოსწავლეთა დაინტე-რესებლად არასაკმაოდ მუშაობენ სასკოლო ბიბლიოთეკები, აგრე-თვე მოსწავლეთა საგნობრივი წრეები, არ ეწყობა ლიტერატურული ექსკურსიები, გასამართლებანი, დისპუტები, თეატრალური დადგმე-ბისა და კინოფილმების განხილვა და სხვა.

ძალზე სუსტია ზრუნვა ქართული ენისა და ლიტერატურის

შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა გამოვლენასა და მათთვის ფაკულტატიური ან გაღრმავებული სწავლების მოწყობაზე.

ნაკლოვანებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ამ საგნების მასწავლებელთა ერთი ნაწილის უდარდელობითა და უპასუხისმგებლობით, დაბალი სპეციალური მომზადებით; ბევრი მათგანი არ იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ და მეცნიერულ დონეს, არ ეცნობა სიახლეებს სასწავლო პროგრამებში, სწავლების მეთოდებსა და ხერხებში, არადამაკმაყოფილებლად ამზადებს გაკვეთილებს, ცუდად მუშაობს გაკვეთილის, როგორც სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმის, როლის ასამაღლებლად, არ ზრუნავს მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად, ურიგდება მოსწავლეთა მომზადების დაბალ დონეს და თავისი მუშაობის ნაკლოვანებათა მიჩქმალვის მიზნით ლიბერალურად, დაუმსახურებელი მაღალი ნიშნებით აფასებს მოსწავლეთა ცოდნას.

ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში იმითაც არის შეპირობებული, რომ სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელები დღემდე არასაკმაო დახმარებას, ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას უწევენ ამ საგნების მასწვლებელთა მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ამ საგნების სწავლების მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით:

ა) სისტემატურად იმუშაონ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული მომზადების დონის ასამაღლებლად, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ პედაგოგიურ-მეთოდური, მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურა და სიახლენი ამ საგნების სწავლებაში;

ბ) მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ არის, კლას-კაბინეტების შესაქმნელად; მოაგროვონ საჭირო ლიტერატურა და ფოლკლორული მასალები, შეიძინონ ტაბულები, სქემები, ჟურნალები, გაზეთები და სხვ.

გ) გულდასმით ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, შემოქმედებითად გამოიყენონ სწავლების აქტიური მეთოდები და ხერხები, მტკიცედ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება, ხელი შეუწყონ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებში დამოუკიდებელი მსჯელობის, აზროვნების განვითა-
რებას, სრულყონ თავიანთი პედაგოგიური ოსტატობა, რისთვისაც
გამოიყენონ სასწავლო მეცადინეობაზე ურთიერთდასწრება,
გაკვეთილები, აზრთა სისტემატური გაცვლა-გამოცვლა ქართული
ენისა და ლიტერატურის სწავლების ცალკეულ საკითხებზე;

დ) სისტემატური მუშაობით აღზარდონ მოსწავლეებში წიგნის,
როგორც ცოდნის დაუშრეტელი წყაროსადმი სიყვარული; დაავალ-
დებულონ ისინი, იკითხონ მათთვის შესაფერისი კლასგარეშე ლიტე-
რატურა, პერიოდულად გამოჰკითხონ წაკითხულის შინაარსი და მის-
ცენ საჭირო მითითებანი:

ე) დაწყებითი კლასების დედაენის მასწავლებლებმა ბეჯითად
იმუშაონ მოსწავლეთათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინე-
ბული ცოდნა-ჩვევების გადასაცემად; ჩაუნერგონ მათ სწრაფი, გა-
მართული გამომეტყველებითი კითხვის, სუფთად და სწორად წერისა
და ზეპირი მეტყველების ჩვევები, აღზარდონ მათში წაკითხული
მასალის გაგებისა და მისი შეგნებულად, გაცნობიერებულად, აზრი-
ანად გადმოცემის უნარი;

ვ) მტკიცედ იხელმძღვანელონ დიდაქტიკის იმ ფუძემდებლური
დებულებით, რომ განმეორება სწავლების დედაა და ისე დაგეგმონ
ყოველი გაკვეთილი, რომ ახალი მასალის შესწავლის პარალელურად
სათანადო ადგილი დაეთმოს ადრე მიღებული ცოდნა-ჩვევების
განმეორება-განმტკიცებას; ფართოდ დანერგონ სწავლებაში პრაქტი-
კული ვარჯიში, გრამატიკის სწავლება მტკიცედ დაუკავშირონ მხა-
ტვრულ ლიტერატურას, ცოცხალ მეტყველებას და მიაღწიონ მოს-
წავლეებში თეორიული გრამატიკული ცოდნის პრაქტიკაში გამოყე-
ნების უნარ-ჩვევების მტკიცედ დანერგვას;

ზ) განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ ნაწარმოების ტექსტზე
მუშაობას, სათანადო ადგილების ზეპირად დასწავლას, მისი თემისა
და იდეის გაგებას, პერსონაჟთა ხასიათის თვისებებში გარკვევას;
ამუშაონ მოსწავლეები ნაწარმოების ლექსიკაზე, ენაზე, საერთოდ
მხატვრულ მხარეზე, ლიტერატურის თეორიის პროგრამით გათვა-
ლისწინებულ საკითხებზე; შეაჩვიონ მოსწავლენი გამომეტყველე-
ბით კითხვას და აღზარდონ მათში მხატვრული ნაწარმოების დამოუ-
კიდებელი კითხვის, მის ტექსტზე მუშაობის ცოდნა-ჩვევები;

თ) მშობლიური ლიტერატურის ისტორიის კურსის სწავლე-
ბისას, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობის პარალე-
ლურად და მასთან მთლიანობაში განიხილონ ცალკეულ ლიტერა-
ტურულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული ლოგიკური

კავშირი; ამასთან, შეაჩვიონ მოსწავლეები ამ კავშირის ახსნას კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქის ვითარების გათვალისწინებით, გაარკვიონ ისინი მხატვრული ლიტერატურის, როგორც ობიექტური სინამდვილი ასახვის სპეციფიკური ფორმის არსში, მის ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობაში, ცხოვრებასთან კავშირის აზრსა და მხატვრულ მხარეებში;

ი) გულმოდგინედ იმუშაონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებაზე და ჩაუნერგონ მათ სწორი, ლოგიკური აზროვნების ჩვევები; იზრუნონ მსწავლეებში ენის საშენი მასალის — ლექსიკის გასამდიდრებლად და დასახვეწად, გაბმული ზეპირი და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად; უფრო მრავალფეროვანი და მიზანსწრაფული გახადონ იგი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა წერითსა და ზეპირ მეტყველებაში დაშვებულ ტიპობრივ შეცდომათა ანალიზს და ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო მეთოდური მითითებებით;

კ) ქმედითი ზომები მიიღონ ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების, სადაც ამის საშუალება არ არის, კლას-კაბინეტების მოსაწყობად, ტელევიზორით, ეპიდიასკოპით, მაგნიტოფონით, დიასკოპით, ფირსაკრავითა და ამ საგნების სწავლებისათვის აუცილებელი პედაგოგიური, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველსაყოფად. კაბინეტისათვის მოამზადონ ფოტოსტენდები, ალბომები, ტაბულები, სქემები გრამატიკის სწავლებისათვის, ხელნაწერი ჟურნალები, კედლის გაზეთები და სხვა მასალები;

ვანიჭებ რა გადამწყვეტ მნიშვნელობას მოსწავლეთა იდეური კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დედაენისა და ლიტერატურის სწავლებას, ვავალებ ამ საგნების მასწავლებლებს, მთელ სასწავლო მუშაობას საფუძვლად დაუდონ ვ. ი. ლენინის ფუძემდებლური მითითება იმის შესახებ, რომ „ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე უნდა წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) პრაქტიკული დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ ამ საგნების სწავლებაზე; გულდასმით განიხილონ მოსმენილი გაკვეთილები, შეიმუშაონ სასწავლო პროცესის შემდგომ ასამაღლებლად დასაბუთებული რეკომენდაციები, მითითებანი და დააწესონ კონტროლი შემდგომში მათ განხორციელებაზე; გადამჭრელი

ზომები მიიღონ სწავლებაში ფორმალიზმისა და სქემატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, აამაღლონ ამ საგნების როლი კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული, ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში;

ბ) გაატარონ ღონისძიებანი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის დონის ასამაღლებლად და ეფექტური გახადონ იგი. მოწინავე პედაგოგთა მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით პერიოდულად ჩაატარონ ღია გაკვეთილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე კითხვა; ამ მიზნით, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან ერთად, პასუხისმგებლობა დააკისრონ სასკოლო ბიბლიოთეკების გამგეებსაც; სისტემატურად შეავსონ ბიბლიოთეკები და შესაბამისი კაბინეტები ახლად გამოცემული ლიტერატურით; ამასთან, მკაცრი ზედამხედველობა დააწესონ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის მოვლა-დაცვაზე;

დ) იბრძოლონ სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასამკვიდრებლად, რისთვისაც ყოველი საგნის მასწავლებლის გაკვეთილის მოსმენის დროს ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებისა და თვით მასწავლებელთა მეტყველების კულტურას, რეაგირების გარეშე არ დატოვონ სალიტერატურო ენის ნორმების დამახინჯების არც ერთი შემთხვევა; დაავალდებულონ მასწავლებლები, მკაცრად დაიცვან ქართული ენის სიწმინდე სასკოლო კედლის გაზეთებსა და ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალებში, პლაკატებსა და ლოზუნგებში, კლასების საორგანიზაციო კუთხეებში, ყველა ხელნაწერ სასკოლო დოკუმენტში, სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და სასკოლო ორგანიზაციების ოქმებსა და ჩანაწერებში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცე ხელმძღვანელობა, დახმარება და ზედამხედველობა განახორციელონ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე; პერიოდულად შეისწავლონ მათი სწავლების მდგომარეობა და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი, ერთი მხრივ, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და, მეორე მხრივ, შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) ბოლო მოუღონ ამ საგნების საათების დაქუცმაცების დღემდე გავრცელებულ არასწორ პრაქტიკას; ამასთან, პედაგოგიური და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთვის განაწილებისას, მტკიცედ იხელმძღვანელონ რეალური მონაცემებით — ცენზით, მუშაობის გამოცდილებით, უნარით, საერთოდ პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული მომზადების გათვალისწინებით. სადაც ეს შესაძლებელია, განახორციელონ კლასების მონაცვლეობა (რომ მასწავლებელს პერიოდულად მოუხდეს მუშაობა IV—VIII და IX—X კლასებში);

გ) გადასინჯონ განათლების განყოფილებათა და პედაგოგიური კაბინეტების კადრების შემადგენლობა ფილოლოგიური განათლებისა და სათანადო გამოცდილების მქონე სასკოლო ინსპექტორებითა და მეთოდისტებით მათი დაკომპლექტების უზრუნველყოფის მიზნით;

დ) გაატარონ ღონისძიებანი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ფაკულტატიური მეცადინეობისა და გაღრმავებული სწავლების გაფართოებისათვის; სპეციალურად შეარჩიონ ამ მიზნით სკოლები, კლასები, მოსწავლეთა კონტინგენტი, მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრები და ამგვარი სკოლებისა და კლასების მუშაობა წარმართონ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე; უზრუნველყონ ასეთი სკოლები თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და სხვა აუცილებელი მასალებით.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) მეთოდიკის განყოფილებასთან ამხ. ლ. მნათობიშვილთან ერთად:

ა) განიხილოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო ქართული სკოლების IX—X კლასებში ქართული ენის სწავლების შემოღების საკითხი, შეიმუშაოს წინადადებები და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-მეთოდურ საბჭოსთან ერთად 1974—75 სასწავლო წელს მოაწყოს ქართული ენისა და ლიტერატურის მოქმედი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ფართო განხილვა; ამ მიზნით, მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე შეიმუშაონ და დასამტკიცებლად წარმოადგინოს წინადადება სათანადო კომისიის შექმნისა და მისი შემადგენლობის შესახებ;

გ) იმავე სასწავლო — მეთოდურ საბჭოსთან ერთად 1974 — 75 წელს მოაწყოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის რესპუბლიკაში გამოცემული დამხმარე ლიტერატურის, თვალსაჩინო მასალებისა და პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნებული მეთოდური სტატიების განხილვა და შედეგები, დაინტერესებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციების მუშაკებთან ერთად, განიხილოს ერთობლივ სხდომაზე;

დ) მიმდინარე წლის 25 ივლისამდე, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, მოამზადოს და დაუგზავნოს სკოლებს მითითებანი „ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმებისა“ და „სკოლებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის შესახებ“;

ე) შეისწავლოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან ერთად 1975 წლის მარტისათვის მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ):

ა) 1975—76 სასწავლო წლისათვის, სკოლების სამმართველოსა და მეთოდიკის განყოფილებასთან ერთად, გაითვალისწინოს სასწავლო მასალის მომზადება IX—X კლასებში ქართული ენის სწავლებისათვის;

ბ) უახლოეს დროში მოაგვაროს X (XI) კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოსა და „ლიტერატურის თეორიის“ გამოცემა;

გ) სასკოლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მტკიცედ დანერგოს პრაქტიკაში ღია კონკურსების გამოცხადება. ამასთან, წარმოდგენილი საკონკურსო სახელმძღვანელოების შეფასებისას გულმოდგინედ შეისწავლოს ყოველი მათგანის ღირსებანი, ნაკლოვანებანი და საჭიროებისას გაითვალისწინოს ავტორთა ძალების გაერთიანება უკეთესი სახელმძღვანელოს შესაქმნელად;

დ) მიიღეს ზომები რუსულიდან თარგმნილი ან გადმოკეთებული სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ენის გასაუმჯობესებლად;

ე) მიიღოს ზომები ქართული ენის გრამატიკის საცდელი სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად; მათ შედგენაში, მეცნიერ მუშაკებთან ერთად, ჩააბას მოწინავე პრაქტიკოსი მასწავლებლები:

დ) სკოლების სამმართველოსთან ერთად ერთი თვის ვადაში კოლეგიაზე განსახილველად წარმოადგინოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის აუცილებელი სასწავლო-მეთოდური ლი-

ტერატურის, დამხმარე ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალების გამოცემის გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) ცენტრალიზებული სახსრებიდან გამოყოს ასიგნებანი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

7. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) სკოლების სამმართველოსთან ერთად:

ა) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებანი მომავალში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების გზების შესახებ;

ბ) ორი კვირის ვადაში დაამუშაოს საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებაში ქართული ენისა და ლიტერატურის იმ მასწავლებელთა ჩაბმის პერსპექტიული გეგმა, რომელთაც არა აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება;

გ) განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ა. კვაჭაძე) ერთად შეისწავლოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გაფართოების შესაძლებლობა უახლოეს წლებში და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს თავისი წინადადებანი;

დ) დასვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის სპეციალობაში მოსამზადებლად ერთი დამატებითი ადგილის გამოყოფის შესახებ;

ე) განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად გადაამუშაოს აღნიშნული საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმები და პროგრამები და წარმოადგინოს წინადადება IX—X კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გადამზადების შესახებ.

8. ი. ს. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ):

ა) გადასინჯოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა ინდივიდუალური სამუშაო გეგმები იმ მიზნით, რათა მეტი ყურადღება დაეთმოს ამ საგნების სწავლების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის აქტუალურ პრობლემებსა და მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა-განზოგადებას;

ბ) გააძლიეროს მეცნიერთა კადრების მომზადება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში ასპირანტურის, კერძოდ, ერთწლიანი ასპირანტურის გზით, ხელი შეუწყოს ამ [illegible]ნების მასწავლებლებს საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული გეგმით გამოსაცემი სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინო მასალების მომზადებაში, აგრეთვე აღნიშნული საგნების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემდგომ გადამუშავება-გაუმჯობესებაში;

დ) აღნიშნული საგნების მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, ყოველწლიურად სამჯერ მაინც მოაწყოს ადგილებზე გამსვლელი სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციები;

ე) შეიმუშაოს სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები;

ვ) 1977 წლისათვის მოამზადოს მცირეკომპლექტიანი დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის მეთოდური ნაშრომი ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის შესახებ;

ზ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად მოამზადოს ინსტრუქცია სწავლებაში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ; შეადგინოს პროგრამა და მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებელთა თვითგანვითარებისათვის; ფართოდ ჩააბას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები პედაგოგიურ კითხვაში;

თ) გამოსაცემად მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალები: დაწყებითი კლასებისა — 1975—1976 სასწავლო წლისათვის, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა — 1976—1977 სასწავლო წლისათვის;

ი) შეიმუშაოს ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის მოწყობის შესახებ;

კ) თანამედროვე ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე დააზუსტოს დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების შინაარსი და ხასიათი;

ლ) მოამზადოს ყოველი კლასისათვის ფონოქრესტომათია, რომელშიც მოცემული იქნება მხატვრული სიტყვის ოსტატთა მიერ სასწავლო პროგრამით შესწავლილი ნაწარმოებების, გამომეტყველებით კითხვის, სწორი ინტონაციით წარმოთქმის საუკეთესო ნიმუშები.

10. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ა. ზახაშვილმა) განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებასთან ერთად:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) მოამზადოს მეთოდური წერილი სასკოლო მეთოდური გაერთიანებებისა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის შესახებ;

ბ) მოაწყოს საქალაქო, რაიონული პედკაბინეტების ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსექციების ხელმძღვანელ მასწავლებელ-მეთოდისტთა და ამ საგნების სასკოლო ინსპექტორთა კურსები; ამასთან, წინასწარ გულმოდგინედ შეიმუშაოს ამ კურსების პროგრამა;

გ) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათი ტექნიკური განსწავლულობის დონის ამაღლებას;

დ) 1975 წლისათვის მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის მეთოდური რეკომენდაციები სწავლების ახალი მეთოდებითა და ხერხებით მუშაობის შესახებ.

11. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) იზრუნოს სასწავლო მოწყობილობით, ტექნიკითა და სხვა მასალებით სკოლების უკეთ მომარაგებისათვის.

12. ეთხოვოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს (ამხ. დ. ლორთქიფანიძეს):

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დასახმარებლად ყოველწლიურად გამოსცეს ბროშურები 5 სასტამბო თაბახის მოცულობით;

ბ) ყოველწლიურად გამოსცეს აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის ამსახველი ბროშურების სერია „პედაგოგიური შრომის ოსტატები“.

13. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ჯიბლაძეს) იმ უმაღლესი სასწავლებლების არასპეციალურ ფაკულტეტებზე, რომლებიც ამზადებენ პედაგოგიურ კადრებს, შემოიღოს ქართული ენის პრაქტიკული კურსის სწავლება.

14. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა ასაბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. კ. გარდაფხაძეს), ტელეგადაცემები ამ საგნების მასწავლებელთა დასახმარებლად მოაწყოს პირველი პროგრამით; ამასთან, ლექციების თემატიკა ძირითადად განსაზღვროს ქართულ სკოლებში მშობლი-

ური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის აქტუალური მასწავლებლისათვის აუცილებელი პრაქტიკული საკითხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. რესპუბლიკის პედაგოგიურმა პრესამ — ჟურნალმა „[illegible] და ცხოვრებამ“ და გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ამხ. გრ. ლაჯაიამ და ნ. შველიძემ) ფართოდ გააშუქოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები.

16. ეს ბრძანება და თანდართული მოხსენებითი ბარათი ა/წლის 30 ივლისამდე დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

17. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა, სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვისა და შემდგომში მათი გატარების მიზნით, ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გზების შესახებ“ განიხილონ ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, საოლქო, საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებათა სახალხო განათლების საბჭოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოების, აგრეთვე ამ საგნების მეთოდგაერთიანებებისა და მეთოდსექციების სხდომებზე და ა/წლის 30 დეკემბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

18. სკოლების სამართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) 1975 წლის იანვრის ბოლოსათვის მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 11 ივნისის დადგენილება

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

# მოხსენებითი ბარათი

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გზების შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენა დიდი ტრადიციების მქონე და განვითარებული სამწერლობო ენაა, მისი შემოქმედი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების უტყუარი მაცნეა. მასში ასახულია ერის წარსული, აწმყო და მომავალი.

ამ ენაზე შეიქმნა მდიდარი ორიგინალური მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურა, ითარგმნა მსოფლიოს ხალხთა მხატვრული ლიტერატურის შედევრები, პირველხარისხოვანი პოლიტიკური, ფილოსოფიური, პედაგოგიური და სხვა ხასიათის შრომები.

ჩვენს ეპოქაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქაში, განსაკუთრებით გაიზარდა დედაენის, როგორც ერთიანი ეროვნული ენის როლი. მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების წინსვლის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ყოფის პარალელურად, ვითარდება და აზრის ახალი გამომსახველობითი საშუალებებით მდიდრდება იგი.

შეუძლებელია ქართული ენის შესწავლის ზოგადსაგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და პრაქტიკული მნიშვნელობის გადაფასება ეროვნული სკოლისათვის: "... დედაენა სულია სკოლისა" (ი. ს. გოგებაშვილი). იგი, ერთი მხრივ, ძირითადი სასწავლო საგანია, მეორე მხრივ, მის საფუძველზე ეუფლება მოსწავლე მეცნიერებათა საფუძვლებს მათემატიკასა და ფიზიკაში, ბუნებისმცოდნეობასა და ქიმიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში და სხვა საგნებში. მშობლიური ენის დაუფლება მყარ, მტკიცე საფუძველს ქმნის მეორე მშობლიური ენის, რუსული ენის, აგრეთვე უცხოური ენების დასაუფლებლად. „...ეს გასაოცარი პედაგოგი — დედაენა, არა მარტო ბევრ რამეს

გვასწავლის, არამედ გვასწავლის ძალიან ადვილად, რაღაც საოცრად
და გამაიოლებელი მეთოდით“ (კ. დ. უშინსკი).

ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუ-
ბლიკის სახელმწიფო ენაა. ზრუნვა მისი შემდგომი განვ[illegible]
გამდიდრებისა და სიწმინდის დაცვისათვის საერთო-სახალხო,
სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად არის ქცეული.

სკკპ XXIV ყრილობამ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის
ყველა დარგს დაუსახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. მთელი საბ-
ჭოთა ხალხი იბრძვის მათი თავის დროზე და მაღალხარისხოვნად
გადასაჭრელად. სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი და საბ-
ჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ჩვენი ქვეყნის ძმურ ოჯახში
შემავალ ყველა ხალხს მათ გმირულ ბრძოლაში სახალხო მეურნეო-
ბის დონის შემდგომ ასამაღლებლად. 1974 წლის 11 იანვარს სკკპ
ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მი-
იღეს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემ-
დგომი განვითარების შესახებ“. საქართველოს კომპარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის (XIII) პლენუმი მიე-
ძღვნა ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისა და ალმა-ატაში ყამირის
ათვისების ოცი წლისთავზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის გულდა-
სმით განხილვას. პლენუმმა შეიმუშავა რესპუბლიკის სახალხო მე-
ურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა. მის განხორციელე-
ბაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლამ, კერძოდ, აქ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს
მშობლიურმა ლიტერატურამ, რადგანაც მარქსისტულ-ლენინური
მსოფლმხედველობით შეიარაღებული კომუნისტური საზოგადოების
აქტიური მშენებლის, ფართო მსოფლმხედველობისა და გონებრივი
ჰორიზონტის მქონე მომავალი მოქალაქის აღზრდა შეუძლებელია
ამ საგნის დაუფლების გარეშე. ზნეობრივი რწმენით, სულიერი კულ-
ტურით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების
სულისკვეთებით აღჭურვილი ახალი ადამიანის ფორმირება წარმო-
უდგენელია ამ საგნის სწავლების მაღალი დონის გარეშე.

ამიტომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ჯერო-
ვან სიმაღლეზე დაყენება არა მარტო სკოლის, არამედ სახალხო
განათლების ორგანოების, მთელი პედაგოგიური საზოგადოებრიო-
ბის დიდმნიშვნელოვანი საზრუნავია.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დიდი სახელ-
მწიფოებრივი, საერთო-სახალხო მნიშვნელობა ჯეროვნად აქვთ
გააზრებული რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ხელმძღვანელი მუშაკებისა და ამ საგნების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილს.

თვით რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სათანადო სამმართველო — განყოფილებები, მისი ადგილობრივი ორგანოები, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე ზრუნავენ, ერთი მხრივ, ამ საგნების სწავლებისათვის საჭირო სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და, მეორე მხრივ, თვით მათ სწავლებაში შემჩნეული ნაკლოვანებებისა და წარმატებათა გასაანალიზებლად, რათა მიიღონ ზომები ხარვეზების აღმოფხვრისა და მოწინავეთა პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისათვის.

მთელ ამ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები, ენათმეცნიერები და ლიტერატურათმცოდნეები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებლები სისტემატურად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პედაგოგიური დონის შემდგომ ასამაღლებლად; გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, ეცნობიან სასწავლო გეგმითა და პროგრამით გათვალისწინებულ სიახლეებს, მოხერხებულად ახამებენ ამ საგნების სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს ტრადიციულთან, ილწვიან სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა დასანერგად, ბეჯითად ზრუნავენ სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის, მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის შემოქმედებითი საგნობრივი წრეების მუშაობის დონის ასამაღლებლად, ამ საგნების შესწავლით მოსწავლეთა დასაინტერესებლად, რის შედეგადაც გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ ცხოვრებისათვის მოსწავლე ახალგაზრდობის მომზადებაში, მათში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნისტური მორალის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის დიად საკაცობრიო გრძნობათა ჩამოყალიბებაში, ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის ფორმირებაში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა შორის უნდა დავასახელოთ: თ. ბურჯანიძე და ს. ფხალაძე (ქ. თბი-

ლისის 53-საშ. სკოლა), მ. ნადაშვილი და გ. მახარობლიძე (ქ. თბილისის 46-ე საშ. სკოლა), ელ. სურგულაძე და მ. ბაშინჯაღოვა (ქ. თბილისის 123-ე და მე-60 საშ. სკოლები), ბ. ფუთურიძე და მ. ჩხეიძე (ქ. თბილისის 1-ლი საშ. სკოლა), გ. გორგოძე და გ. ქერქაძე (ქ. თბილისის 48-ე და 71-ე საშ. სკოლები), გ. მენაბდიშვილი და ც. ქორიძე (ქ. რუსთავის მე-15 საშ. სკოლა), ა. მეკოკიშვილი და ქ. შავიძე რუსთავის მე-2 საშ. სკოლა), მ. კობახიძე და დ. კანდელაკი (ქ. რუსთავის მე-16 და მე-14 საშ. სკოლები), ე. ჩიქოვანი და მ. ბურსულიაია (აბაშის 1-ლი საშ. სკოლები) ნ. ვაშაკიძე და თ. ხიდურელი (ქ. წყალტუბოს მე-3 საშუალო სკოლა), კ. ჯავახაძე და თ. იამანიძე (წყალტუბოს რაიონის მუხიანის საშ. სკოლა), ბ. ქისიშვილი და ლ. მანძულაშვილი (ქ. კასპის მე-3 და იმავე რაიონის ლამისყანის საშ. სკოლები), ა. ბერიაშვილი და თ. ბერიაშვილი (იმავე რაიონის მეტეხის საშ. სკოლა) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიური ენის სწავლების დონის ასამაღლებლად მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს აქვს დედაენის პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნა, კითხულობს სწრაფად და გამართულად, წერს სუფთად და სწორად, ახერხებს შესწავლილი მასალის გაგებას და მის თანმიმდევრულ გადმოცემას.

მთელი რიგი სკოლების IV—VIII კლასების მოსწავლეები ფლობენ ქართული ენის პროგრამულ მასალებს, დამაკმაყოფილებლად იციან წინადადების მორფოლოგიური და სინტაქსური გარჩევა და აქვთ გრამატიკაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები. რესპუბლიკის სკოლების ამ საგნის მოწინავე მასწავლებლობა ფართო შემოქმედებით მუშაობას ეწევა ბავშვებთანაც, რის შედეგადაც ბევრი მოსწავლე აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლებში შექმნილი წრეების მუშაობასა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებში

რესპუბლიკის მრავალი სკოლის IV—VII კლასების მოსწავლეებს აქვთ ქართული ლიტერატურის პროგრამული მასალის ცოდნა, მეტყველებენ სალიტერატურო ენით, იჩენენ მხატვრული ნაწარმოების შინაარსის, მოქმედ პირთა ხასიათის თვისებებისა და ლიტერატურის თეორიის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნას, ისინი აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა შემოქმედებითი წრეების მუშაობაში.

**VIII, IX, X (XI) კლასების მოსწავლეთა ერთი ნაწილი გარკვე-**

ულ ინტერესს იჩენს ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსის შესწავლისადმი, კარგად იყენებს სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურას, ერკვევა იმ ამოცანების არსში, რომელსაც უსახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას, იჩენს მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტების საფუძვლიან ცოდნას, მწერლის იდეური მიზანდასახულების გაგებისა და თხზულების მხატვრული მხარის ანალიზის უნარს, მაღალწიგნიერად წერს და მეტყველებს ქართულ სალიტერატურო ენაზე.

მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურის შესახებ ვ. ი. ლენინის სტატიებისა და გამონათქვამების შესწავლისადმი. ისინი იცნობენ ბელადის ისეთ უმნიშვნელოვანეს სტატიებს, როგორიცაა: „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“ და „გერცენის ხსოვნას“.

ქართულ ლიტერატურაში (X, XI კლ) ჩატარებული ზეპირი გამოცდებიდან გამოვლინდა, რომ მოსწავლეები უფრო ღრმად ერკვევიან ზნეობრივ-ეთიკურ საკითხებში, შემოქმედებითად იყენებენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ფუძემდებლურ პარტიულ დოკუმენტებს, იცნობენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებს, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სრულიად საკავშირო თათბირზე წარმოთქმულ ე. ა. შევარდნაძის სიტყვას „სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი წარმატებებისაკენ“ და სხვა.

მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

## დაწყებით კლასებში დედაენის სწავლების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების, განსაკუთრებით სოფლის დამოუკიდებელი დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების დაწყებითი კლასების, მოსწავლეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებლად იცის დედაენის პროგრამით შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლი მასალა: კურსის დამთავრების შემდეგ უჭირს სწრაფი, გამართული, გამომეტყველებითი კითხვა, წაკითხული მასალის გააზრებულად გადმოცემა, სუფთად, ლამაზად და შინაარსიანად წერა; [illegible]თი მდგომარეობა შეპირობებულია იმით, რომ დაწყებითი კლასების დედაენის ბევრი მასწავლებელი ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, ხერხებს და მას უინტერესოდ, მოსწავლეთათვის მოსაწყენად ასწავლის. არ ემზადება გაკვეთილისათვის, მრავალ შეცდომას უყურადღებოდ ტოვებს, არ უნერგავს წერისა და კითხვის ჰიგიენის ჩვევებს, არასაკმაოდ იყენებს ქართული წერის დედანს, თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე საჭირო ყურადღებას არ უთმობს სალექსიკონო მუშაობას, სუსტად ასწავლის გრამატიკულ მასალას და მას არ უკავშირებს მართლწერის საკითხებს.

დაწყებით სკოლაში დედაენის სწავლების აღნიშნული და მსგავსი ნაკლოვანებანი მძიმე ტვირთად აწვება შემდგომ კლასებს, რადგანაც ხელს უშლის ქართული ენისა და ლიტერატურის, და არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის, სწავლების მყარი საფუძვლის მომზადებას.

ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის I-ლი კლასის მასწავლებელი ქ. ქღენტი მოსწავლეებთან მუშაობისას ყურადღებას არ ამახვილებს აღმზრდელობითი ხასიათის საკითხებზე, შესასწავლ მასალას არ უკავშირებს თანამედროვეობას და უყურადღებოდ ტოვებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებს.

ქ. თბილისის 58-ე საშუალო სკოლის II კლასს დედაენას ასწავლის გეოგრაფი თ. ლაშხი. მან თვითონაც ცუდად იცის ენა, საუბრის დროს ერთ წინადადებას დაუმთავრებლად წყვეტს და მეორეს იწყებს, უშვებს უხეშ ენობრივ შეცდომებს. მოსწავლეებს მიმართავს: „ვინ წამიკითხამს“, „დაჯექით“ და სხვ. იგი არ ასრულებს განათლების სამინისტროს მითითებებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი შრომების სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ: II კლასს სასწავლო წლის I-ლ ნახევარში საწერად, ნაცვლად 18 — 20 სიტყვისა, აძლევს 40 სიტყვას.

46-ე საშუალო სკოლის I-ლი კლასის მასწავლებელი თ. აბულაშვილი არ იცნობს დედაენის სასწავლო პროგრამას, რომლის მიხედვით ძახილის წინადადება, შესაბამისი მართლწერისა და წარმოთქმის წესებით, ისწავლება II კლასში, თანაც სასწავლო წლის მეორე ნახევარში. მასწავლებელი კი მას I-ელ კლასში ასწავლის. თ. აბულაშვილი წერით მუშაობას უთმობს 45 წუთს, ნაცვლად 18—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20 წუთისა. ამის გამო ბავშვების ხელწერა თანდათანობით უარესდება. მასწავლებელი სრულიად არასაკმაო დროს უთმობს გაკვეთილზე ენობრივ ვარჯიშს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე დაბა აბაშის 1-ლი საშ. სკოლის III კლასის მასწავლებელი ნ. გრიგოლავა. იგი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისადმი, მათ ნამუშევარში ხშირად შეუმჩნევლად ტოვებს შეცდომებს; სიტყვები: „შინაარაი", „ცოტდნე", „ვლეხობამ", „სპაიცეთი" და „გაუშობდა" გაუსწორებელია ამავე კლასის მოსწავლე ზ. კ.-ს სხვადასხვა წერით ნამუშევარში შვიდჯერ უწერია „შიცტომების გასტორება", მაგრამ იგი არც ერთხელ არ არის შენიშნული. ამასთან, ამ სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში სპეციალობით ფილოლოგები არიან.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ს. ქორქოლიანი (წყალტუბოს რაიონის თერნალის დაწყებითი სკოლა), დ. ყარმაზანაშვილი (დუშეთის რაიონის ციხისძირის დაწყებითი სკოლა), ნ. გიორბელიძე (აბაშის რაიონის გაუწყინარის რვაწლიანი სკოლა), შ. თოფურია (ამავე რაიონის განათლებისკარის რვაწლიანი სკოლა) და სხვა.

### IV—VII (VIII) კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ზოგი საკითხების შესახებ

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი IV—VIII კლასებში ქართული ენის პროგრამული მასალის შესწავლაში. ამ საგნის სწავლებაში ნელი ტემპით ინერგება ტექნკური საშუალებანი, მცირე რაოდენობით არის თვალსაჩინო მასალები — გრამატიკული ტაბულები, სქემები. თვით მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ ასეთი თვითნაკეთი მასალებით სკოლების უზრუნველსაყოფად, რის გამოც ქართული ენის გრამატიკის სწავლებაში არაიშვიათად გვხვდება აბსტრაქტულ-ვერბალური სწავლების, კონკრეტულ ენობრივ ფაქტებსა და თვალსაჩინოებას მოკლებული სწავლების, რეციდივები, არასაკმაო ყურადღება ექცევა წინადადებათა მორფოლოგიურ, სინტაქსურ გარჩევას და გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას, ენის საშენი მასალით — ლექსიკური მარაგით მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრებას, მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებას. ყოველივე ამის

გამო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მნიშვნელო-
ვან ნაწილს არადამაკმაყოფილებელი ცოდნა აქვს ფონეტიკის, ლექ-
სიკის, გრაფიკის, გრამატიკისა და სტილისტიკის საკითხებზე, არა აქვს
სწორი, დახვეწილი ზეპირი და წერითი მეტყველება, აუცილებელი
ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ცოდნა — ჩვევები.
არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის 1-ლი სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გ. მდივნიშვილი.
იგი IV კლასში ისე ასწავლის ქართულ ენას, რომ სასწავლო პროგრა-
მას არ იცნობს: მუშაობს V, VI კლასების პროგრამითა და სახელ-
მძღვანელოთი. მასწავლებელს კლასი მთლიანად დაუსაქმებელი ჰყავს.
მას პრაქტიკულ-ენობრივ საკითხებზე არ ამუშავებს. არ იყენებს
არავითარ თვალსაჩინოებას. მოსწავლეებმა სუსტად იციან შესწავ-
ლილი მასალა, სრულიად ვერ ერკვევიან ენის მართლწერის საკი-
თხებში. კლასში გამეფებულია ხმაური და უყურადღებობა. მოუწ-
ლელია VI კლასის მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერის რვეულები,
ჩანაწერები შესრულებულია შეუფერებელი ხელწერით. მასწავ-
ლებელი ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას; მას არც ერთი მოს-
წავლის წერითი ნამუშევარი არ აქვს გასწორებული.
აბაშის რაიონის აბაშისპირის რვაწლიანი სკოლის მასწავლებე-
ლი თ. გადელია ქართული ენის გაკვეთილზე მუშაობს მხოლოდ და-
ფასთან გაძახებულ მოსწავლესთან. უფრო ხშირად თვითონვე ლაპა-
რაკობს, უყურადღებოდ რჩება კლასი, არ ასწორებს მათ მიერ დაშ-
ვებულ შეცდომებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას და საშინაო დავა-
ლებებსაც გაურკვევლად, მოსწავლეთათვის გაუცნობიერებლად
აძლევს.
ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი
თ. მეტრეველი) მოსწავლეებმა თითქმის არაფერი იციან ზმნის პირი-
ანობის, გარდამავლობისა და სხვ. შესახებ. იმავე სკოლის V კლასის
(მასწავლებელი ც. გალუაშვილი) მოსწავლეებმა ზეპირად იციან ნა-
ცვალსახელები და მათი ბრუნება, მაგრამ არა აქვთ მათი გამოყენე-
ბით წინადადების შედგენის ჩვევები.
ქართული ენის სწავლების არადამაკმაყოფილებელი მდგომარე-
ობის პირდაპირი შედეგია ის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ მართლ-
წერის ელემენტარული ცოდნა-ჩვევები; ასე, მაგალითად, კასპის რა-
იონის თვალადის რვაწლიანი სკოლის VII კლასში (მასწავლებელი
დ. ქიტუაშვილი) ჩატარებულ წერაში 25 მოსწავლიდან 21-მა არადა-
მაკმაყოფილებელი შეფასების ნიშანი მიიღო.
ნაკლოვანებანი, რომლითაც ხასიათდება ქართული ენის სწავ-

ლებს IV-VIII კლასებში, შეპირობებულია აგრეთვე იმითაც, რომ არაიშვიათად ქართული ენა ისწავლება ლიტერატურისაგან მოწყვეტით, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე ამ უკანასკნელზედაც.

რესპუბლიკის სკოლების IV—VII კლასების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი არ იჩენს სიყვარულს მხატვრული ლიტერატურის შესწავლისადმი, არ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას, რაც ვლინდება მათი დამოუკიდებელი ნაკითხობის, წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დაბალ დონეში. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ამ საგნის სწავლებისას საკმაო ყურადღება არ ექცევა მხატვრული ნაწარმოების იდეურ შინაარსს, ამ მიზნით მის ანალიზსა და საჭირო დასკვნების გაკეთებას, ნაწარმოების ენაზე, ლექსიკაზე, მხატვრული ნაწარმოების სახეთა სისტემაზე, მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე დაკვირვებას, გამომეტყველებით კითხვას და, საერთოდ, ტექსტზე მუშაობას. ყოველივე ამის გამო, ზოგ შემთხვევაში, არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეებზე ლიტერატურის სწავლების აღმზრდელობითი ზეგავლენა.

ასეთივე მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ლიტერატურას ასწავლის მოსაწყენად და უინტერესოდ. ამგვარი მუშაობისას ისეთი მნიშვნელოვანი მასალაც კი, როგორიც არის მწერლის ბიოგრაფია, ვერ ასრულებს თავის საგანმანათლებლო და აღმზრდელობით მიზნებს. ზოგიერთი მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ IV—VII კლასებშიც კი, სადაც, როგორც წესი, მწერლის აღწერითი ხასიათის ბიოგრაფია ისწავლება, შეუძლებელია მხოლოდ ქრონოლოგიური თარიღების გაზეპირებით, მწერლის ცხოვრების ცალკეული, ერთმანეთთან გარკვეული მიზეზ-შედეგობრივად დაუკავშირებელი ეპიზოდებით შემოფარგვლა. ზოგიერთი მასწავლებელი არ ითვალისწინებს დიდი ილიას შეგონებას, რომ „კერძო ცხოვრება და თავგადასავალი პოეტისა ამხსნელია და გამომრკვეველი მისი პოეზიისა“ და ზერელე დამოკიდებულებას იჩენს მისადმი. ამგვარად მუშაობს, მაგალითად, ქ. აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის VI კლასის მასწავლებელი თ. კაჭარავა. იგი არათუ არ ამდიდრებს მწერლის ბიოგრაფიას მოსწავლეთათვის საინტერესო, შერჩეული მასალით, არამედ საკმაო ყურადღებას არ აქცევს თვით იმ მასალის ჯეროვან შესწავლას, რომელიც თვით სახელმძღვანელოშია მოცემული.

მიხ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიაში მოცემული მასალა ცოდნის, სწავლა-განათლების შეძენისადმი მომავალი მწერლის დაუოკებელი

სწრაფვის შესახებ მასწავლებელმა ვერ გამოიყენა მოსწავლეებში
შესაბამის გრძნობთა აღსაზრდელად; არაფერი თქმულა წინამძღვ-
რიანთკარის სკოლის როლისა და მასზე ილია ჭავჭავაძის შეხედულე-
ბათა შესახებ;

მწერლის ოჯახის უბედურება — მისი დედისა და დის ტრაგიკუ-
ლი დაღუპვა მასწავლებელმა ვერ გამოიყენა აღმზრდელობითი მიზ-
ნისათვის.

ამასთან, უნდა მივუთითოთ გაკვეთილის სხვა ხარვეზზედაც:
მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ საქართველოს გეოგრაფიაზე,
მის ძველ და ახალ ადმინისტრაციულ დაყოფაზე, მათ არ იციან, საღ
მდებარეობს ქართლი, ბორჩალო (რომელი რაიონია ამჟამად ბორჩა-
ლო), ლორე, წინამძღვრიანთკარი და სხვ. ამის გამო აქ უკვე ალარა-
ფერს ვამბობთ იმაზე, რომ წარმოდგენა არა აქვთ იმ ადგილებზე, სა-
დაც ცხოვრობდა და სწავლობად მწერალი (ყირიმი, საფრანგეთი,
ბელგია და შვეიცარია).

მასწავლებელი გაკვეთილზე არ იყენებს თვალსაჩინოებას, კლა-
სის წინაშე სვამს პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით გაუმარ-
თლებელ კითხვებს: „შეძლო თუ არა მ. ჯავახიშვილმა სასწავლებლის
დამთავრება“, „დარჩა თუ არა თავის სოფელში სასწავლებლად“ და
სხვა.

მასწავლებელი თ. კაჭარავა ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა
მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს და გაუსწორებლად ტოვებს
მათ; ასე მაგალითად, „მ. ჯავახიშვილი დააჯილდოეს წითელი შრო-
მის ორდენით“, „იგი დააჯილდოეს პუშკინის მედალით“, „სხვადასხვა
ნივთებით“ და სხვა.

რა თქმა უნდა, ამგვარად ნასწავლები ბიოგრაფია ვერ განახორ-
ციელებს საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ამოცანებს, ვერ
შეასრულებს მოსწავლეთა პატრიოტული, იდეურ-პოლიტიკური აღ-
ზრდის როლს, მწერლისა და მისი ნაწარმოების შესწავლისადმი ინ-
ტერესის აღზრდის როლს.

იგივე მასწავლებელი თ. კაჭარავა მხატვრულ ლიტერატურის
ვერ იყენებს მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედვე-
ლობის ფორმირების, მათში გონებრივი, ესთეტიკური, ანტირელიგი-
ური და შრომითი აღზრდის მიზნით; მასწავლებელმა ისე გაამეორე-
ბინა კლასს ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ რომ არაფერი თქმუ-
ლა ლუარსაბ თათქარიძის, როგორც ექსპლოატატორული კლასის
წარმომადგენლის შესახებ, ყმა გლეხებისადმი, შრომისადმი, სწავ-
ლისადმი, რელიგიისადმი მის დამოკიდებულებაზე. არ გამახვილებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსწავლეთა ყურადღება ქართული ენისა და ლიტერატურის თეორიის ისეთ საკითხებზე, რომელთაც აგრეთვე უეჭველი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

ამასთან, მასწავლებლის მიერ კლასის წინაშე დასმული უსისტემო და თანაც ენობრივად გაუმართავი კითხვები: „სად იდგა ლუარსაბის სახლ-კარი“?, „რა დამხმარე ნაგებობანი იდგა ეზოში“?, როგორი იყო ეზო“?, „რით იყო შემოკავებული“?, „ვინ მეტყვის ლუარსაბის პორტრეტს?“, „ლუარსაბის შეხედულებას ვინ მეტყვის სწავლაზე?“, „როგორი ნაწარმოებია „კაცია-ადამიანი?!“ და „რას ეწოდება სატირული ნაწარმოები?“ სრულიადაც არ კმარა ამ მნიშვნელოვანი მასალის გასამეორებლად.

მასწავლებელი თ. კაჭარავა რაციონალურად ვერ იყენებს გაკვეთილის დროის ბიუჯეტს: იგი ცდილობს ყველაფერი მოასწროს, მაგრამ, გაკვეთილის დაბალ დონეზე მომზადების გამო, ამას ვერ ახერხებს: იძულებულია კლასს ზერელედ შეასწავლოს მასალა. ეტყობა, მასწავლებელი ივიწყებს ა. დისტერვეგის დიდმნიშვნელოვან პედაგოგიურ დებულებას: „უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ერთი და იმავე საგნის განხილვას ათი სხვადასხვა მხრიდან, ვიდრე ათი სხვადასხვა საგნის სწავლებას ერთი მხრიდან. ცოდნის რაოდენობაში კი არ არის განათლება, არამედ ყოველივე იმის სრულ გაგებასა და ოსტატურ გამოყენებაში, რაც იცი“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის ბევრი მასწავლებელი კარგად ემზადება გაკვეთილებისათვის, შემოქმედებითად იყენებს სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას, მდიდარ საკუთარ გამოცდილებას, გაკვეთილის ჩატარების საერთოდ აღიარებული სირთულე ზოგ მის დეტალებში მაინც ვლინდება. საილუსტრაციოდ აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ დაბა აბაშის საშუალო სკოლის მოწინავე, გამოცდილი პედაგოგის (სხვათა შორის იგი ხელმძღვანელობს რაიონის პედკაბინეტთან არსებულ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდურ სექციას), ეთერ ჩიქოვანის მიერ VIა კლასში ჩატარებულ საკლასო წერის გაკვეთილზე.

მას დამთავრებული აქვს ქ. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1961 წელს. აღნიშნულ მოსწავლეებთან მასწავლებელი IV კლასიდან მუშაობს. კლასს ეტყობა მასწავლებლის ხელი: 26 მოსწავლიდან ქართულ ლიტერატურაში ხუთი შეფასებულია „5“-ზე, 12—“4“-ზე. დანარჩენს კი „3“ აქვს (მასწავლებლის ობიექტურობისა და შეფასების უნარში საეჭვო არაფერია). იგი ასე-

ვე ასწავლის V კლასსაც, მაგრამ, როგორც თვითონ განაცხადა, იქ ამ წარმატებებს ვერ მიაღწია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ისევ $VI^2$ კლასში ჩატარებულ გაკვეთილზე. მასწავლებელმა მიმართა მოსწავლეებს — გადმოეცათ ის ცვლილებანი, რომელთაც ისინი ამჩნევენ ბუნებაში გაზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით პასუხად მიიღო, რომ დღემ იმატა, იამ და ენძელამ ჯერ კიდევ ადრე იგრძნო გაზაფხულის მოახლოვება და ამოვიდა. იფურჩქნება სხვა ყვავილებიც, მცენარეები ყვავილობს და მწვანდით იმოსება (აქ მასწავლებელმა მოაგონა კლასს ცნობილი ხალხური ლექსის სტრიქონები: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო...“), თბილი ქვეყნებიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან ფრინველები, მაგრამ გაზაფხულის მოახლოებას შაშვი გრძნობს და უფრო საამურად სტვენს, მინდვრად უკვე იწყება ხვნა-თესვა.

ამ შთაბეჭდილებათა გადმოცემის შემდეგ მასწავლებელი შეეკითხა კლასს: „რას უსურვებთ გაზაფხულსო? პასუხად მიიღო: „მობრძანდეს“ და „გაგვახაროსო“. აქ დაისვა წერტილი და მოსწავლეებს მიეცით დავალება, ე. წ. საკლასო სამუშაოთა რვეულებში დაეწერათ თემა—„გაზაფხული მობრძანდება“.

სწორედ აქ გვინდა ხოგ იმ დეტალზე მივუთითოთ, რომელზედაც ვფიქრობთ, საჭირო იყო შეჩერება: მასწავლებელს უნდა გაემახვილებინა მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, თუ რა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება იწყება გაზაფხულზე საერთოდ და მათ რაიონში კერძოდ, რა ღონისძიებანი ხორციელდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა შესასრულებლად ქვეყანაში მწვანე მოლის შესაქმნელად, რას აკეთებს საბჭოთა ხალხი ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ, რა მუშაობა ტარდება ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში (მოეგონებინა მოკლედ, რა ღონისძიებანი ხორციელდება ბორჯომის ტყეებში ლაფანჭამიას გასანადგურებლად, აქვე გაემახვილებინა ყურადღება ბორჯომელ და ფოთელ პიონერ-მოსწავლეთა პატრიოტულ საქმიანობაზე ამ მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ.), მიეთითებინა მოსწავლეებისათვის, რომ გაზაფხულს მარტო ია-ვარდი, სასიამოვნო ფრინველები კი არ მოჰყვება, არამედ ჩნდება სარეველები, მავნებელი მწერებიც, რომელთა განადგურებით კიდევ უფრო მშვენდება და ლამაზდება ისედაც სილამაზითა და მშვენიერებით შემკული სამყარო; გაეხსენებინა მოსწავლეთათვის ჩვენი ხალხის ანდაზა, რომ „გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს კვებავსო“, შესწავლილი ლიტერატურული მასალიდან მოეგონებინა, ერთი მხრივ, გუთნის დედისა და ლაბა ხა-

რის და, მეორე მხრივ, ტრაქტორისტისა და ტრაქტორის მუშაობა, დარეჯანისა და ლუარსაბისაგან დაწიოკებული მოსამსახურე გოგო-ბიჭებისა და ჩვენი დღევანდელი საბჭოთა ახალგაზრდების მეგობრობა, მოეგონებინა ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნები“, „ია“ და სხვა.

ჩვენ, უბრალოდ, არა გვსურს, „გადავტვირთოთ“ გ-კვეთილი ამგვარ დეტალებზე შეჩერებით, ვფიქრობთ, მითითებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება სრულიად სხვა ელფერს მისცემდა გაკვეთილის იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას (რა უჭირს, რომ ეს VI კლასია), რაზედაც თავის დროზე მიგვითითებდა მასწავლებელთა ყველაზე დიდი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი. ისინი, ეს დეტალები, გარკვეულ როლს შეასრულებდნენ მოსწავლეთა გონებრივ განათლებაში, ადამიანის შრომისადმი, მისი ამაღლებული მორალისადმი პატივისცემის, პატრიოტიზმისა და ესთეტიზმის გრძნობებით მოსწავლეთა აღზრდაში.

მასწავლებელმა ე. ჩიქოვანმა კლასში შესრულებული აღნიშნული სამუშაოები იქვე წააკითხა ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მოსწავლეს, თითოეული თემის წაკითხვის შემდეგ მოახდინა წაკითხულის ზეპირი რეცენზირება, მოსწავლეებმა მიუთითეს თანაკლასელთ ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებსა თუ ნაკლოვანებებზე: გააკეთეს, მაგალითად, ასეთი შენიშვნები: „მშვენიერება არ იფრქვევაო“, სიტყვა „გაზაფხული“ წინადადებაში ნახმარია ზედიზედ, ნამუშევარში ისეა წარმოდგენილი საქმე, თითქოს ყვავილები ჯერ ამოვიდნენ და მერე წასჩურჩულეს ერთმანეთს — „გვეყო ამდენი ძილიო“, სინამდვილეში კი პირიქით უნდა თქმულიყო და ა. შ.

ჩვენ სასწავლო პროცესის კიდევ უფრო სრულყოფის პროფესიულმა ინტერესმა და ოფიციალურმა მოვალეობამ გვიკარნახა, გაგვეკეთებინა ზოგი ზემოხსენებული შენიშვნა, თორემ, როგორც იტყვიან, ღმერთმა ქნას, ყველგან იყოს ასეთი კლასიც და მასწავლებელიც!..

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ამ საგანს მასწავლებლები თ. გადელია, გ. თევდორაძე (აბაშის რაიონის ბაშისპირის რვაწლიანი სკოლა), ნ. ბარამიძე (ქ. თბილისის 28-ე რვაწლიანი სკოლა), თ. მეტრეველი, ც. გალუაშვილი (ქ. რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა), ც. ფანჩვიძე, ქ. წულაია, ქ. პეტრიაშვილი (ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლა), დ. ქიტუაშვილი (კასპის რაიონის სოფ. თვალადის რვაწლიანი სკოლა) და სხვა.

# VIII, IX, X (XI) კლასებში ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის სწავლების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ლიტერატურის სწავლება VIII, IX, X (XI) კლასებში. ამ საგნის ზოგი მასწავლებელი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასწავლის მოცემული ეპოქის ისტორიულ-ლიტერატურული ვითარებისაგან, მოწყვეტით, ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზების, კლასობრივ საზოგადოებაში მისი სოციალური დანიშნულების ღრმა, ჯეროვანი ანალიზის გარეშე.

მოსწავლეებმა ცუდად იციან შესწავლილი ნაწარმოების შინაარსი, ლიტერატურის თეორიის საკითხები, ზეპირად არ იციან შერჩეული ადგილები ტექსტიდან. ნაწარმოების გარჩევისას იშვიათად მსჯელობენ მის იდეურ-ესთეტიკურ მიმართულებაზე, არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მწერლის ბრძოლის აზრს სოციალურ მანკიერებათა წინააღმდეგ.

მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის აზრი, ვერ ერკვევა სკკპ და ვ. ი. ლენინის ფუძემდებლურ დებულებებში ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. ბევრმა მათგანმა არ იცის, რომ ლიტერატურა კლასობრივი მოვლენაა.

მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან საქართველოს ისტორიის ზოგი, ქართული ლიტერატურის შესწავლისათვის საჭირო აუცილებელი საკითხები, რაც თავისთავად უკარგავს მათ საგნის შესწავლის ინტერესს, მოსწავლეებს ლიტერატურული განათლებით შეიარაღების ინტერესს უკარგავს აგრეთვე ის მდგომარეობაც, რომ მთელმა რიგმა უმაღლესმა სპეციალურმა სასწავლებლებმა არასპეციალურ ფაკულტეტებზე შეამცირეს მოთხოვნილობა აბიტურიენტისადმი ამ საგანში; საწერ თემად აძლევენ მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების, ან მისი ნაწილის შინაარსის გადმოცემას.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების საინსპექტორო მასალების, ლიტერატურის ოლიმპიადებსა და საგაზაფხულო გამოცდებზე ოქროს მედლით დასაჯილდოებელ საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ შეუსრულებული წერითი ნამუშევრების, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ამ საგნებში ჩატარებული გამოცდების შედეგების ანალიზი და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული წერილები ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს არა აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის მკვიდრი, საფუძვლიანი ცოდნა: ერმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებლად იცის პროგრამით გთვალისწინებული მხატვრული ნაწარმოების ტექსტი, არ იცამის შესახებ არსებულ ძირათად და დამხმარე სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურას, უკეთეს შემთხვევაში იფარგლება მხოლოდ სახელმძღვანელოთი, უარეს ვითარებაში ისიც კი სათანადოდ არ იცის, ამჟღავნებს ნაკითხობის დაბალ დონეს, არა აქვს შესწავლილი მასალის დამოუკიდებლად, მწყობრად, ლოგიკური თანმიმდევრობით, სალიტერატურო ენით გადმოცემის ცოდნა-ჩვევები.

ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ VIII, IX, X (XI) კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს საკუთარი მოვალეობის შესრულებისადმი: არ იმაღლებს საკუთარ იდეურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ-მეცნიერულ დონეს, მთელი პასუხისმგებლობით არ ემზადება ყოველი გაკვეთილებისათვის, არ ეცნობა, სასკოლო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებსა და სიახლეებს, შემოქმედებით დამოკიდებულებას არ იჩენს სწავლებისა და აღზრდის ერთიანი პროცესის აქტუალური საკითხებისადმი, არ იყენებს თვალსაჩინოებას და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, არ მუშაობს მოსწავლეთა ინდივიდუალური მისწრაფებების, მიდრეკილებების გამოსავლინებლად, ჯეროვან ყურადღებას არ იჩენს მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისადმი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბევრი სკოლის ხელმძღვანელმა, საგნის მასწავლებელმა და თვით სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკთმა დღემდე ვერ გაიგო ფაკულტატიური მეცადინეობის არსი საერთოდ და, კერძოდ, ლიტერატურაში: ამგვარი მუშაობისათვის საგანგებოდ არ არჩევენ არც მასწავლებელთა და არც მოსწავლეთა შემადგენლობას, რაც არაიშვიათად ქმნის სხვადასხვაგვარ გაუგებრობას.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის საგანს ქ. წყალტუბოს მე-3 საშ. სკოლის მასწავლებელი ნ. ჩიხლაძე. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან პროგრამული მასალა, მეტყველებაში უშვებენ ენობრივი და ფაქტობრივი ხასიათის უხეშ შეცდომებს; ამ კალსის ერთ-ერთმა მოსწავლემ განაცხადა, რომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოიცა 1792 წელს, დავით აღმაშენებლის დროსო“. მასწავლებელი თვითონაც ვერ მეტყველებს სწორად: მოსწავლეს მიმართავს „მალადეც შენ, გია“ და სხვ. იგი მოსაწყენად, უინტერესოდ

ასწავლის ამ შესანიშნავ მასალას, მას ვერ იყენებს მოსწავლეებში გმირობის, პატრიოტიზმის, მეგობრობისა და სხვა მაღალ საკაცობრიო გრძნობათა აღსაზრდელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი ნ. ჩიხლაძე ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს; არ იცის მხატვრული ნაწარმოების ტექსტის ანალიზი, ვერ ატარებს ლექსიკურ მუშაობას, ვერ არჩევს ტექსტიდან ღირსშესანიშნავ მხატვრულ ადგილებს, რის გამოც მოსწავლეებმა სრულიად არ იციან ლიტერატურის თეორიის ისეთი საკითხებიც კი, როგორიცაა: ეპითეტი, მეტაფორა, შედარება და სხვ.

მიუხედავად ასეთი დაბალი კვალიფიკაციისა, მასწავლებელს მინდობილი აქვს ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარება ლიტერატურაში. ნ. ჩიხლაძე ფორმალურად ადგენს სათანადო ჟურნალს. მასში აღრიცხულია ფაკულტატიურ მეცადინეობაზე ჩატარებული მუშაობა, მაგრამ მასწავლებელს წარმოდგენაც არა აქვს იმ ლიტერატურულ მასალაზე, რომელიც თითქოს მოსწავლეთათვის „აუხსნია".

წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის საშუალო სკოლის X კლასის მასწავლებელი ლ. ბეშკენაძე დუნედ, უსიცოცხლოდ ატარებს ქართული ლიტერატურის გაკვეთილს; როგორც მოსწავლეები, ისე თვით მასწავლებელი გაკვეთილზე უხეშ შეცდომებს უშვებენ მეტყველებაში; მაგალითად, მასწავლებელმა განაცხადა: „ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ მ. ჯავახიშვილს ლიტერატურული საქმოსნობა არ გაუგრძელებიაო". გაკვეთილის პროცესში არ წარმოებს ტექსტზე მუშაობა, მწერლის ენაზე დაკვირვება, პერსონაჟთა დახასიათება და ა. შ.

იმავე რაიონის გეგუთის საშუალო სკოლის X კლასის მასწავლებელი მ. კილაძე ისე ასწავლის შ. დადიანის „თეთნულდს", რომ მხედველობიდან რჩება მთავარი—ნაწარმოების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა: არაიშვიათად ვხვდებით მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარობის, IV—VIII კლასების ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის დავიწყების, ან პრაქტიკაში მისი გამოყენების ცოდნა-ჩვევების უქონლობის, ლექსიკური შეზღუდულობისა და სხვა შემთხვევებს. კვლავ აქვს ადგილი „შპარგალკების" გამოყენების ცდებს.

მოსწავლეთა წერითი მეტყველების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა არცთუ ისე მცირე ნაწილი არ ასრულებს საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს მითითებებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ: არაიშვიათად ვხვდებით ერთი და იგივე სახის საწერ თემებს, რომლებიც არ საჭიროებს მოსწავლეთა გონების გააქტიურებას; საწერი თემების შესრულებისას უგულებელყოფილია გეგმების შედგენა, თითქმის არ ხდება მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ ტიპობრივ შეცდომათა ანალიზი, ყურადღება არ ექცევა მართლწერის წესების განმეორება-განმტკიცებას და ა. შ.

ქართული ენასა და ლიტერატურაში VIII—X (XI) კლასების მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე იმითაც არის შეპირობებული, რომ სწავლების წინა საფეხურზეც და ამ კლასებშიც არასაკმაო მუშაობა ტარდება წერითი დ ზეპირი მეტყველების პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევებით მოსწავლეთა შესაიარაღებლად: ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებას, მათ შორის ისეთ ხატოვან გამოთქმებზე მუშაობას, „...რომლებიც სოცარი სისხარტით გამოხატავენ საკმაოდ რთული მოვლენების არსს“ (ვ. ი. ლენინი); ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპიის დაცვას, წინადადებაში სიტყვათა შეწყობის, მეტყველების ნაწილების სტილურ შესაძლებლობათა გაცნობას, ზეპირ სავარჯიშოებსა და წერით სამუშაოებს (ტექსტის დაგეგმვა-დასათაურებას, სათანადო ადგილების ამოწერას, ნაწარმოების ენობრივ-სტილისტურ ანალიზს. საქმის ქაღალდებზე მუშაობას და სხვა.); ლიტერატურის თეორიის საკითხებს, წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის მრავალფეროვანი საწერი თემების შერჩევას.

მოსწავლეთა ერთი ნაწილის წერითი მეტყველების ასეთი დონის მიუხედავად, დაბალი კვალიფიკაციისა თუ უპასუხისმგებლობის გამო, ბევრი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ან ვერ ამჩნევს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებს, ან განგებ არიდებს მათ თვალს და ნამუშევარს არაობიექტურად, ამაღლებული ნიშნით აფასებს. ამის გამო ხშირად ვხვდებით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით დასაჯილდოებლად განათლების სამინისტროში ისეთი მოსწავლეების წარმოდგენის შემთხვევებს, რომელთა მიერ შესრულებული საგამოცდო ნამუშევრები ქართულ ლიტერატურაში არათუ „ოთხზე“, ზოგჯერ „სამსა“ და „ორზეც“ კი უნდა შეფასდეს.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დაბალი მომზადება ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოვლინდა გასულ წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოც-

დებზე; ასე, მაგალითად, შრომის წითელი დროშის ორდენოსან ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბიტურიენტთა გარკვეულმა ნაწილმა, რომელმაც წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში, ვერ მოახერხა დადებითი ნიშნის მიღება ქართული ლიტერატურის წერით გამოცდაზე (მხატვრული ნაწარმოების თუ მისი ნაწილის შინაარსის გადმოცემა).

ამ მხრივ სავალალო შედეგები გამოვლინდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე. აქ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითს გამოცდას აბარებდა 2478 აბიტურიენტი. მათგან „5“-ზე შეფასდა მხოლოდ 1 ნამუშევარი (0,04%), „4“-ზე — 183 (7,%), „3“-ზე — 1,257 (50,7%), „2“-ზე — 1,057 (41,8%).

ამავე საგნებში ზეპირ გამოცდას აბარებდა 1,223 აბიტურიენტი, რომელთაგან „5“ მიიღო 46-მა (3 %), „4“ (298-მა — (25,%), „3“ — 740-მა (61,%), „2“ — 139-მა (11 %).

ამავე ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის 14 ვაკანტურ ადგილზე აბარებდა 584 აბიტურიენტი. მათგან „4“-ზე შეფასდა 25 ნამუშევარი (4 %), „3“-ზე 196 ((34 %), „2“-ზე — 363 (62 %). ზეპირ გამოცდას აბარებდა 216 აბიტურიენტი, რომელთაგან „5“ მიიღო „3“-მა (1 %), „4“ — 41-მა (19 %), „3“—136-მა (63 %), „2“ — 36-მა (17 %). ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითსა და ზეპირ გამოცდებზე დადებით შეფასებათა მქონე 180 აბიტურიენტიდან ისტორიასა და უცხო ენაში დადებითი ნიშანი მიიღო მხოლოდ 31-მა (5 %), ამრიგად, 584 აბიტურიენტიდან, რომლებიც ქართული ფილოლოგიის დღის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ, დადებითი შეფასება ყველა საგამოცდო საგანში მიიღო მხოლოდ 31-მა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა.

ეს შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო პასუხისმგებლობას იჩენენ აღნიშნული საგნის სწავლებისადმი, სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე, არ იჩენენ მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უნარს და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად განუკითხავად აძლევენ რეკომენდაციას ყველა კურსდამთავრებულს, ვისაც კი ამის სურვილი აღმოაჩნდება.

რესპუბლიკის ბევრი სკოლის მასწავლებელი დაუმსახურებლად

აგზავნის მოსწავლეებს ლიტერატურის ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ამის გამო ხშირია ასეთ მოსწავლეთა ნამუშევრების დაბალი ნიშნებით („სამი“, „ორი“)) შეფასების შემთხვევებ[illegible] მაგალითად, მიმდინარე წელს რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილე 512 მოსწავლიდან (მათ შორის მხოლოდ 69 არის ვაჟი) „5“ მიიღო 47-მა მოსწავლემ, „4“ 302-მა, „3“—154-მა და „2“—9 მონაწილემ.

სკოლების ხელმძღვანელები და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან კონტროლს არ ახორციელებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაზე და დანაშაულებრივად ურიგდებიან ლიბერალიზმს.

კასპის რაიონის ლამისყანის საშუალო სკოლის მასწავლებლის ე. აბუაშვილის მიერ გასწორებულ ერთ-ერთი მოსწავლის საკონტროლო წერით ნამუშევარში შენიშნულია 23 შეცდომა, 12 კი შეუმჩნევლად არის დატოვებული და ნაწერი დადებითი ნიშნითაა შეფასებული. მეორე მოსწავლის ნაშრომში მასწავლებელს შეუნიშნავს მხოლოდ 4 შეცდომა, 20 კი „შეუმჩნევლად„ დაუტოვებია, ნამუშევარი კი „4“-ზე შეუფასებია, მესამე წერით ნაშრომში ე. აბუაშვილს „ვერ შეუნიშნავს“ 50 შეცდომა და ამ მოსწავლისათვისაც დადებითი ნიშანი დაუწერია.

აბაშის რაიონის ძველი აბაშის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის 8 მოსწავლიდან საკონტროლო წერით ნამუშევარში „ავთანდილის დახასიათება“ (შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის მიხედვით) მასწავლებელმა ჯ. გრიგოლიამ 4-ს დაუწერა „3“, 4-ს—„2“, ნამდვილად კი 3 მოსწავლე იმსახურებს „1“-ს, 4 — „2“-ს მხოლოდ 1 — „3“-ს. დაშვებულ შეცდომათა დიდი ნაწილი უხეშია და ამჟღავნებს მოსწავლეთა არამარტო დაბალ დონეს, არამედ საერთოდ მათ საარაკო უვიცობას. სანიმუშოდ აქ მოგვაქვს მხოლოდ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი:

მოსწავლე ქ. გ. წერს. „ავთანდილი არის ამიერსპასალარიის შვილი, ის გარეგნობით ლამაზია, ის არის არაბეთის ფრიდონის სამეფოში მოსვლისას ფრიდონის ყმებმა ალყა შემოარტყეს და ავთანდილს გარს უვლიდნენ“. ასეთი გაუგებრობით აღსავსე სტრიქონებია შემდეგაც, დასასრულს კი აღნიშნავს, თუმცა, ეტყობა, თვითონაც არ იცის, სახელდობრ რას: „ვერ დაიჭირავს კრა ვარდი ვერცა კლდოვანი ავთანდილი იდიალური მიჯნურია მან უვარგისობა ნესტანი და მის ყოველგვარ დავალებას ასრულებდა მან ფიცი მისცა თინათინს

ეს ფიცი მან დატოვა სიყვარული ადამიანს ამაღლებს ამბობს, „შოთა რუსთაველი ავთანდილი სიყვარულზე მაღლა მაინც მეგობრობას აყენებს ვეფხისტყაოსნის გარემოება ისეთ ამხანაგობა გამოიხატება რომ მათ სამყრობილეში ის და მგელი".

მეორე მოსწავლე ც. ტ. წერს: „ავთანდილის სილამაზემ დამტკბარმა მონებმა ალყა დაშალეს და ავთანდილს დაუწყეს ჭვრეტა ეს ფრიდონმა დაინახა და ყმა გაგზვნა გასაგებად მონამ რომ ახლოს ივიდა როდესაც ეს ვილაც მოსულ ყმა დაიხა თქმაც კი დავიწყდა ავთანდილის ფიზიკური სილამაზის გარდა კიდევ დაჯილდოებულია მუსიკალურ ნიჭითაც, ის როდესაც მოდის ნესტანის საძებნელად ისე ისე სევდიანად მღეროდა რომ ტყიდან მხეცები გამოდიოდნენ

„ვერ ვეცრუები ვერ ვუზამ მას
ხელმწიფესა მზიანსა".

ავთანდილი კიდეც არის კარგი მოასპარეზი როსტევანს არ ეგონა რომ მის სამეფოში თუ იყო მასზე უძლიერესი მშვილდოსანი მაგრამ"

(ასე მთავრდება ეს, უ აცრაული პასუხია, „ნამუშევარი").
კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია!

ლიტერატურის რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე შესრულებულ წერით ნამუშევარში „ხალხთა მეგობრობა მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის მიხედვით" ონის მეორე სკოლის X კლასის მოსწავლე რ. ჩ-მ დაუშვა მრავალი ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილისტური სინტაქსური და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა:

**ორთოგრაფიული:** „არცერთი", „გავუბრთხილდეთ", „ჯერარნახული", „ოკიანე", „უზმეკი", „სხ...", „არა ერთი", „ტენდეციით", „პიტრელური", „ოდითგანააქვს", „ერთიანობა", „საქართ-ველო"

**პუნქტუაციურ** შეცდომათაგან აღსანიშნავია ჩვენს სკოლებში წლების განმავლობაში საერთოდ არასწორად გავრცელებული ასეთი ნიშნები ./:/. (ნაცვლად მრგვალი ფრჩხილისა) და მრავალი, ზოგჯერ 4, 5, 6 და ა. შ. წერტილი. ნაცვლად მის აღსანიშნავად დაკანონებული სამი წერტილისა არის სხვა ხასიათის პუნქტუაციური შეცდომებიც.

**სინტაქსური:** „ხალხთა ერთიან სიმღერას ბანს აძლევს... მ ზიური საქართველო, ქართველი პოეტები და მწერლები", მარაბდელ გლეხთა რიგებს ამშვენებს რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომხი და ოსი მებრძოლები... „„... თხუთმეტი მოკავშირ რესპუბლიკის გამოჩენილმა პოეტებმა და მწერლებმა უძღვნეს საბჭოთა ხალხთა ურღვევ მეგობრობას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტობრივი: „ლენინმა და სტალინმა დაამსხვრიეს ბატონყმობის ბარიკადები და მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე მცხოვრებ ხალხს მოუტანეს თავისუფლება და ბედნიერება...."

ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, სრულიად არ არის დაცული თანაფარდობა თემის ცალკეულ ნაწილთა შორის: ნამუშევრის 4 გვერდიდან ერთნახევარი ეთმობა თემის შესავალს, ერთი — დასკვნას, ძირითად ნაწილს კი — მხოლოდ გვერდნახევარი.

ქ. სოხუმის მე-13 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის მ. ჯ.-ს აზრით, „შუშანიკის წამება" VIII საუკუნეში დაწერილი ნაწარმოებია (?). გალის რაიონის სოფ. რეფი შეშელეთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის ლ. კ.-ს საოლიმპიადო ნამუშევრის მიხედვით, „დიდი ქართველი პოეტები — ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი რომანტიკოსთა კლასის წარმომადგენლებია".

მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობის ამგვარი დაბალი მომზადება სკოლების ზოგიერთ ხელმძღვანელსა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ხელს არ უშლით — ასეთ კურსდამთავრებულებს მისცენ რეკომენდაციები უმაღლეს სასწავლებლებში (არაიშვიათად, სპეციალურ, ფილოლოგიის ფაკულტეტებზეც კი) სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო VIII—IX—X (XI) კლასების მოსწავლეებს ურჩიონ ლიტერატურის ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღება.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII, IX, X (XI) კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების თ. მაგოშვილის (ქ. რუსთავის 21-ე საშ. სკოლა), მ. გეგენავას (ქ. რუსთავის მე-14 საშ. სკოლა), მ. ჯაფარიძის (ქ. თბილისის მე-13 საღამოს სკოლა), ნ. ბოდოკიას (წყალტუბოს რაიონის გეგუთის საშ. სკოლა), ა. ხეტაშვილისა და გ. ხუციშვილის (კასპის რაიონის ნიგოზის საშუალო სკოლა) და სხვათა მუშაობა.

## ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ამაღლების ზოგი საკითხი

ნაკლოვანებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში იმიტაც არის შეპირობებული, რომ სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, დაბალ დონეზეა დაყენებული კლასგარეშე და სავალდებულო ლიტერატურის კითხვა, მოსწავლეთა შემოქმედებითი წრე-

ების მუშაობა, არ ჩანს სასკოლო ბიბლიოთეკების როლი, არ ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული დილა-საღამოები, დისპუტები, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან, გამოჩენილ ენათმეცნიერებთან, ლიტერატურათმცოდნეებთან და ა. შ.

დღემდე შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტებისა და კლას-კაბინეტებისათვის საჭირო ოთახების გამოყოფა, ხოლო ბევრგან, სადაც ასეთები უკვე შექმნილია, არ იგრძნობა მზრუნველი ხელი: არა აქვთ ლიტერატურული და ფოლკლორული მასალები, მწერალთა პორტრეტები, კინოფილმები, გრამფირები, სქემები, ტაბულები, პლაკატები, ალბომები, მოსწავლეთა თვითნაკეთი მასალები, ხელნაწერი ჟურნალები, გაზეთები და სხვ.

დღემდე ყველაფერი არ კეთდება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდიური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად; უფერულად მუშაობენ სკოლებში ამ საგნების მეთოდგაერთიანებანი და პედაგოგიური კაბინეტების მეთოდური სექციები; მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება ღია გაკვეთილები. სკოლების ხელმძღვანელები ყოველთვის როდი გამოთქვამენ სარწმუნო მოსაზრებებს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ავკარგიანობაზე, მასწავლებელს არ ეძლევა კვალიფიციური რეკომენდაციები მის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შესახებ, ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავე პედაგოგთა მუშაობის შესწავლისა და განზოგადოება—გაზიარების საქმეს. თვით მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილში განმტკიცდა არასწორი და საზიანო ტენდენცია — ასწავლონ მხოლოდ ერთსა და იმავე კლასებს, რითაც ივიწყებენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასკოლო პრაქტიკით გამართლებულ ისეთ დადებით გამოცდილებას, როგორიცაა მასწავლებლის თნდათან გადასვლა კლასიდან კლასში; საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, სხვა დადებით მომენტებთან ერთად, გარკვეულ როლს ასრულებს კლასის მომზადებისათვის გაუპიროვნების აღმოფხვრაში. როცა ერთსა და იმავე კლასებს ასწავლის, ზოგიერთი მასწავლებელი ივიწყებს იმ კლასების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, რომელთაც არ ასწავლის. ამგვარი შეზღუდული სპეციალიზაციის გამო, მასწავლებელს საფუძვლიანად არა აქვს წარმოდგენილი და გააზრებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მთელი

კურსის-მოსამზადებელი კლასიდან X (XI) კლასების ჩათვლით სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, დამხმარე ხელმძღვანელოები და სხვადასხვაგვარი თვალსაჩინო მასალა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებიდან მცირე მანძილი რჩება მასწავლებლის დეკვალიფიკაციამდე.

საკმაო ღონისძიებანი არ ხორციელდება სკოლებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასამკვიდრებლად, დედაენის სიწმინდის დასაცავად, სხვა საგნის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არათუ არ უსწორებს მოსწავლეებს მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, არამედ პირიქით — თვითონაც სცოდავს ამ მხრივ და ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა „ალმა ხნულს“ „დალმა ფარცხავს“.

დიდი ილია გვასწავლიდა, რომ „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომეტებულიო“. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს და პრაქტიკულ დასკვნებს ვაკეთებდეთ მშობლიური ენის უბადლო მოამაგის ამ გაფრთხილებიდან. ზოგ მასწავლებელს ავიწყდება, რომ ენა ერის სწორუპოვარი საუნჯეა, რომელსაც მოვლა ესაჭიროება, „ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე უხვი და მტკიცე კავშირი, რაც ერთ დიად ისტორიულ ცოცხალ მთლიანობად აერთიანებს ხალხის გარდასულ, ცოცხალ და მომავალ თაობებს, ენა არამარტო გამოხატავს ხალხის სიცოცხლის ძალას, არამედ თვით არის ეს სიცოცხლე“ (კ. დ. უშინსკი).

სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები

ქართული სკოლების IX—X კლასებში მშობლიური ენის სწავლების გაგრძელება სასურველ შედეგს მოიტანდა.

კვლავ უნდა გაგრძელდეს მუშაობა დაწყებითი კლასების ქართული ენის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემდგომ გასაუმჯობესებლად;

სერიოზულად უნდა გადაისინჯოს აგრეთვე კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა, მისი დაზუსტებისა და მასში ზოგი აუცილებელი ისტორიული ხასიათის მასალის შეტანის თვალსაზრისით.

სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ყოველთვის არ დგება მათი ავტორების ერთობლივი მუშაობის გზით, მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებელთა შესაწყნარებელ თვალსაზრისთა გათვალის-

წინებით, რაც ზოგჯერ ერთგვარ გაუგებრობას ქმნის და გარკვეულად ურთულებს მუშაობას საგნის მასწავლებელს.

ინტერესმოკლებული არ იქნება, ამასთან დაკავშირებით, [illegible]ნიშნოს შემდეგიც: ზოგჯერ ჩვენი ცნობილი ლიტერატურათმცოდნეები, მათ შორის თვით სახელმძღვანელოების ავტორებიც კი გაუმართლებლად უვლიან გვერდს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ პრესის ფურცლებზე ერთსა და იმავე პრობლემურ საკითხზე გამოთქმულ სხვადასხვა შეხედულების შეფასებას და თავიანთი წვლილი არ შეაქვთ მის გარკვევაში; ასე მაგალითად, ვაჟაფშაველას „ალუდა ქეთელაურის" შესახებ ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" და გაზეთ „სახალხო განათლებაში" დაიბეჭდა სხვადასხვა ავტორების სტატიები. მათ არც ერთი ჩვენი ცნობილი მეცნიერი-ფილოლოგი არ გამოხმაურებია და მასწავლებელთათვის დღესაც გაურკვეველია, რომელი ავტორის თვალსაზრისია სწორი და თვითონ, ბოლოს და ბოლოს, როგორ ასწავლოს ეს მასალა.

უკანასკნელ წლებში ქართული ლიტერატურის პროგრამაში გათვალისწინებულია ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა. მეოთხე წელია, აღარ გამოსულა X კლასის ქართული ლიტერატურის (XX საუკუნე) სახელმძღვანელო, რომელშიც ეს მწერლებიც თავიანთ დამსახურებულ ადგილს დაიჭერდნენ. გარდა ამისა, დღემდე თითქმის არა გვაქვს მათი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ სკოლისათვის გამოცემული საჭირო ცალკეული ნაშრომებიც. ეს გარემოებაც ურთულებს მუშაობას მასწავლებელს.

რამდენიმე წელია, არ გამოცემულა „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი", ადრინდელი გამოცემები კი თითქმის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადა იქცა.

ასეთ პირობებში, რაღა თქმა უნდა, დამხმარე და პარალელური სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემის საკითხი მხოლოდ საოცნებო საქმედ გამოიყურება.

სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვის მიზნით თითქმის არ ეწყობა მათ შემდგენელთა და ავტორთა შეხვედრა მოწინავე მასწავლებლებთან.

მოუგვარებელია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემის საქმე. ამიტომ ამ დარგში მომუშავე მეცნიერი მუშაკებისა და მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებელთა მიერ მომზადებული სამეცნიერო პროდუქცია წლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით რჩება დაუსტამბავი. ამასთან, რაც იბეჭდება, ისიც მცირე შეზღუდული ტირაჟით; ამჟამად რესპუბლიკის ოთხ იათასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსამზადებელ, I, II, III კლასებში მუშაობს ქართული ენის 18,005 მასწავლებელი, IV—X (XI) კლასებში კი — 7,983. თუ ამ რიცხვს დაემატება სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების, პედაგოგიური კაბინეტისა და სასკოლო ბიბლიოთეკის რაოდენობაც, ნათელი გახდება, თუ რა მიუწვდომელი ხდება მასწავლებელთათვის, განსაკუთრებით სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის მცირე ტირაჟით (1000, 2000... ცალი) გამოცემული მეთოდიკური წიგნები. ამგვარ პირობებში ან უნდა გავზარდოთ ტირაჟი, ან ეს ლიტერატურა პირდაპირ სკოლების ბიბლიოთეკებს დაეგზავნოთ სიის მიხედვით; მაგრამ, რადგანაც ტირაჟის ასე დიდი რაოდენობით გაზრდა შესაძლოა, ვერ მოხერხდეს, ისევ სჯობს სკოლებისათვის აუცილებელი ლიტერატურის სიით დაგზავნა.

მწვავედ იგრძნობა სპეციალურად მოსწავლეთათვის გამოცემული მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის, ლიტერატურის კლასიკოსთა პორტრეტების, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომების, გრამატიკის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალების, ე. წ. „მოლაპარაკე წიგნების" (გრამფირფიტების), აგრეთვე ტელევიზორებისა და საერთოდ ტექნიკურ საშუალებათა ნაკლებობა თუ მათი ზოგიერთი სახის საერთოდ უქონლობა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ საკმაო დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი არ ხორციელდება ამ საგნების მასწავლებელთა მუშაობაზე.

## დასკვნები და წინადადებანი

1. აღნიშნული საგნების სწავლების, ისევე როგორც საერთოდ სხვა საგნების სწავლების საქმეშიც მთავარი მაინც პედაგოგიური კადრებია, რადგან „მოსწავლე ბაძავს მასწავლებლის იდეურ რწმენას, მის დამოკიდებულებას შრომისადმი, მეცნიერულ ერუდიციას, მუშაობის მეთოდიკას" (ლ. ი. ბრეჟნევი). უამისოდ ყოველგვარი მატერიალური ბაზა, უაღრესად კარგად, ზღვრულ მდგომარეობამდე აღჭურვილიც კი მხოლოდ გამოუყენებელი, მკვდარი კაპიტალია. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გადამზადებისა და მომზადების საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით ცოტა არ

ქეთდება, მაინც ვერ დგას სკოლის წინაშე დასმული სადღეისო
ამოცანების დონეზე და აი რატომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სკოლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჰუმანიტარუ-
ლი ციკლის საგნების სწავლებისადმი ყურადღების შენელებამ, ზო-
გიერთ უმაღლეს სასწავლებელში ლიტერატურის გამოცხადებამ
„არაპროფილებელ" საგნად და თვით ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებში ამ საგნების მასწავლებელთა შორის საათების დაქუცმა-
ცების გაუმართლებელმა პრაქტიკამ შეამცირა საშუალო სკოლის
მოწინავე კურსდამთავრებულთა, განსაკუთრებით ვაჟთა ლტოლვა
ფილოლოგიის ფაკულტეტისადმი. ამგვარმა მდგომარეობამ, ერთი
მხრივ, გარკვეული გავლენა მოახდინა უმაღლესი სასწავლებლების
სათანადო ფაკულტეტების მუშაობაზედაც და, მეორე მხრივ, სკო-
ლებშიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საკმაო
რაოდენობის დაბალკვალიფიციურ კადრებს მიუჩინა ადგილი.

ამასთან, გათვალისწინებულია უახლოეს წლებში ერთი მოსა-
ლოდნელი უხერხულობაც: ამჟამად სკოლების, განსაკუთრებით სო-
ფლის სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების უმრავ-
ლესობა ფილოლოგიური ან, საერთოდ, ჰუმანიტარული ციკლის საგ-
ნების სპეციალობის მქონე მამაკაცთა კადრებითაა დაკომპლექტებუ-
ლი. მათი უდიდესი ნაწილი ძველი ან საშუალო თაობის ასაკის ადა-
მიანები არიან. თუ აღნიშნულ ფაკულტეტებზე ასეთი მდგომარეობა
გაგრძელდა, სულ ახლო მომავალში სერიოზული მდგომარეობა შე-
იქმნება ამ სპეციალობის მქონე კვალიფიკაციური ხელმძღვანელი
კადრებით სკოლების, და არა მარტო სკოლების, უზრუნველყოფის
საქმეში.

როგორც ცნობილია, ანალოგიური და კიდევ უფრო უარესი
მდგომარეობაა პედაგოგიური ინსტიტუტების დაწყებითი განათლე-
ბის მეთოდიკისა და პედაგოგიკის ფაკულტეტებზე, სადაც ყველაზე
მოუმზადებელი კონტინგენტი ეტანება. პედინსტიტუტებშიც მათ
პრაქტიკას ზოგჯერ დაბალკვალიფიციური პირები ხელმძღვანელო-
ბენ; ამ მიზეზით აღნიშნულ ფაკულტეტს ამთავრებენ ისეთი სტუ-
დენტები, რომლებიც წარმატებით ვერ ასწავლიან დაწყებით კლა-
სებს, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს შემდგომში
რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაობაზედაც.

ამგვარ ვითარებაში ბუნებრივად ისმება კითხვა — სად არის
გამოსავალი?

როგორც უკვე ცნობილია, გარკვეული მიზეზების გამო, ზოგად-
საგანმანათლებლო სკოლა ვერ აძლევს უმაღლეს სასწავლებელს

მისთვის საჭირო რაოდენობის სათანადო ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებულ ახალგაზრდობას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქმეს ვერც ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლება შეუძლია, ვერც ფაკულტატიური მეცადინეობა, რადგანაც ისეთი პირობები (ღრმად განათლებული, მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და ასევე ძლიერი, საგნის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეთა კონტინგენტი და კეთილმოწყობილი სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის მქონე სკოლა), როგორიც ამგვარი მეცადინეობისათვის არის საჭირო, მხოლოდ ზოგ სკოლას თუ მოეპოვება. ამიტომ არის, რომ ამჟამად უკვე გზაა აღებული გაღრმავებული სწავლებისა და ფაკულტატიური მეცადინეობის ცენტრალიზაციისაკენ (რეკომენდებულია ასეთი სწავლების განხორციელება ამ მიზნით სპეციალურად შერჩეულ სარაიონო ან სარაიონთაშორისო სკოლებში). მაგრამ ამგვარად ორგანიზებული მეცადინეობაც საქმეს ვერ უშველის, რადგანაც იგი მხოლოდ ერთი საგნის სწავლების დონის ამაღლებას ემსახურება.

ეროვნული

ჩვენის აზრით, სასურველი იქნებოდა შეცვლილიყო ასეთი სკოლის თუ კლასის მუშაობის პრინციპები შემდეგი მიმართულებით:

ამა თუ იმ საგნის გაღრმავებული თუ ფაკულტატიური სწავლებისათვის განკუთვნილი საათები გამოეყოს არა მხოლოდ ერთ რომელიმე საგანს, არამედ ეს დრო გადანაწილდეს გარკვეული ციკლის ყველა საგანზე; ასე მაგალითად, იმ კლასისათვის, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინების გაღრმავებული შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები, აღნიშნული საათები უნდა გაუნაწილდეს ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენასა და ისტორიას, ე. ი. მხოლოდ საგამოცდო საგნებს და რუსულს (ეს უკანასკნელი სასურველია, ისევე ბარდებოდეს ყველა ფაკულტეტზე, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა). ასეთი კლასები, სასურველია შექმნილიყო აგრეთვე ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის ციკლისა და დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე ჩასაბარებელი საგნების გაღრმავებული სწავლებისათვის.

მართალია, ეს არც ჩვეულებრივი სახის რომელიმე საგნის გაღრმავებული სწავლებაა, არც ფაკულტატიური მეცადინეობა, მაგრამ არის გარკვეული ციკლის საგნებიც სწავლებისათვის ისეთი პირობების შექმნის ცდა, რომელშიც გამორიცხული იქნება მიზეზები (არადამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზა, დაბალკვალიფიციური მასწავლებელი და დაბალი მომზადების მოსწავლეთა კონტინგენტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ძირითადად განაპირობებენ მოსწავლეთა მომზადების დაბალ დონეს. მომავალ აბიტურიენტთა ამგვარი მომზადება თავიდან აგვაცილებდა ისეთ მდგომარეობას, როცა კურსდამთავრებულ[illegible]დებით ნიშანზე ვერ აბარებს ყველა საგამოცდო საგანს და ამის გამო უმაღლეს სასწავლებელში ვერ ხვდება. ამიტომ ასეთი კლასების მუშაობის დადებითი შედეგები აპრიორულადაც შეიძლება ვირწმუნოთ

ა) მეცადინეობის ამგვარი მოწყობით, მოსალოდნელია, საერთოდ, სწავლების დონის ამაღლება, რადგანაც ბევრი მოსწავლე ეცდება მოხვდეს რომელიმე მისი შესაძლებლობისა და მიდრეკილებისათვის შესაფერის კლასში; ამგვარად, ასეთი კლასები გარკვეულ სტიმულს შექმნიან;

ბ) თუ ობიექტურად შესაძლებელი აღმოჩნდება აღნიშნული კლასებისათვის გათვალისწინებული პირობების შექმნა, ის, ვინც მათში მიიღებს განათლებას, ყოველგვარი კერძო მომზადებს გარეშე ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში; ასე რომ, ამგვარად ორგანიზებული კლასების მუშაობა რეპეტიტორების წინააღმდეგ ბრძოლის უებარი საშუალებაც იქნება;

გ) ქალაქისა თუ რაიონის ცენტრის რომელიმე მოწინავე სკოლაში ასეთი კლასების შექმნა იმის საშუალებასაც მოგვცემდა, რომ სოფლის სკოლის ბევრი კარგი ბეჯითი, ნიჭიერი მოსწავლისათვის გაგვეუმჯობესებინა სწავლის პირობები;

დ) ამ პრინციპით კლასების შექმნა გარკვეულად შეუწყობდა ხელს ე. წ. „საშუალო მოსწავლისა“ და საშუალო სტუდენტის“ პრობლემის გადაჭრას, ოღონდ აქ, საჭიროა, გავაკეთოთ ერთი შენიშვნა.

ამჟამად საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ რესპუბლიკური მათემატიკური სკოლა-ინტერნატისა და ქ. თბილისის 42-ე მათემატიკური განხრის საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობა წარმატებით სწავლობს მხოლოდ I—II კურსზე, III და შემდეგ კურსებზე კი ისინი აღარ განირჩევიან იმათგან, ვინც ჩვეულებრივი საშუალო სკოლა დაამთავრა. მაგრამ ამგვარი აზრის ლოგიკური განვითარების დასასრული ზემოხსენებული, უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი სკოლების გაუქმების გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანდა. საქმე კი ასე როდია: არ არის ორი აზრი იმაში, რომ ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატისა და ქ. თბილისის მათემატიკური განხრის 42-ე საშუალო სკოლადამთავრებულთ გაცილებით მეტი ცოდნა აქვთ ამ საგნებში, ვიდრე სხვა, ჩვეულებრივ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს. იმ უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრებმა, სადაც ეს კარგად მომზადებული კონტინგენტი მოხვდება,

მათთან უფრო სხვაგვარად, მათი ცოდნის შესაფერისად, ინდივიდუალურად უნდა იმუშაონ. როგორც ჩანს, ეს გარემოება არ არის გათვალისწინებული და შედეგიც არ აყოვნებს — III კურსიდან [illegible]ვე სხვადასხვაგვარად მომზადებული კონტინგენტის ცოდნის გათანაბრებაში იჩენს თავს. ჩვენ აქ ორი შესაძლებლობიდან სწორად გვესახება ერთ-ერთი: ან აქ დასახელებული ორი სკოლა არ მუშაობდეს განსხვავებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით (რაც არ შეიძლება)), ან უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრები მუშაობდნენ ამ სკოლადამთავრებულებთან ინდივიდუალურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი კლასების გახსნას ექნება თავისი უარყოფითი შედეგებიც: თუ რომელიმე სკოლის, ვთქვათ, VIII კლასიდან იმ მოსწავლეებს გამოვიყვანთ, რომლებიც ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკასა და სხვა საგნებში წარმატებით სწავლობენ, მაშინ დაგვრჩება აკადემიურად დასუსტებული კლასი, რომელიც მუშაობას გაუძნელებს მასწავლებელს, მშობელს, კლასის ხელმძღვანელს, რადგანაც ისინი, ვინც კოლექტივს აძლიერებს და რომელთა მაგალითითაც უნდა მოხდეს სხვა, ნაკლები წარმატების მქონე მოსწავლეთა აღზრდა კოლექტივში, აღარ იქმნებიან. ბუნებრივია, ასეთ კლასთან ფაკულტატიური მეცადინეობა ვერ ჩატარდება და უნდა მოხერხდეს, მისთვის განკუთვნილი საათები დაემატოს იმ საგნებს, რომელთაც უფრო მეტად უჭირთ. (საკითხის წინასწარ გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ, სახელდობრ რომელ საგანს და რა რაოდენობის საათი დაემატოს, უნდა განსაზღვროს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ მეთოდიკის განყოფილებასთან ერთად).

იმის გამო, რომ აღნიშნული ტიპის კლასებში გაღრმავებული სწავლების გარკვეული ციკლის თითოეულ საგანს მხოლოდ 1-2 საათი მოემატება VIII, IX, X კლასებში, საჭირო არ დარჩება სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ცვლილებების შეტანა მისი გამდიდრების, გართულების თვალსაზრისით.

ასეთი კლასები, როგორც წესი, თუნდაც თითო კლასი გარკვეული ციკლის (დაწყებითი განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის) საგნებისათვის, სჯობს, შეიქმნას რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, მაგრამ იმ სკოლასთან, მა თ შორის ზოგან სოფლის სკოლასთანაც, რომელსაც ჰყავს სათანადო პედაგოგიური კადრები და აქვს კარგი სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამთავითვე ასეთი სწავლება უნდა განხორციელდეს VII თუ VIII

კლასიდან.[1] შემდეგ კი შესაძლოა ამჟამადაც, ამ კლასების პარალე-
ლურად ამგვარი მუშაობა დავიწყოთ IV კლსიდანვე. მართალია, IV—
V—VI კლასებში სასწავლო საათების ისე გაზრდის საშუალება არ
ნება, როგორც უფროს VII—VIII, IX, X კლასებში, მაგრამ საქმის
წარმატებას კარგი მატერიალური ბაზა, მაღალკვალიფიციური მასწა-
ვლებელი და შერჩეულ მოსწავლეთა კონტინგენტიც გარკვეულად
შეუწყობს ხელს.

ის სკოლები, თუ სკოლა-ინტერნატები, სადაც აღნიშნული კლა-
სები შეიძლება გაიხსნას, საგანგებოდ უნდა შეირჩეს აფხაზეთის ასსრ
აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესაბამი-
სი განათლების სამინისტროებისა და განათლების განყოფილების,
რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში კი, მათ შორის ქ.
თბილისშიც თვით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მიერ. პედაგოგიური კადრები საერთოდ და განსაკუთრებით გარკვე-
ული ციკლის ყოველი საგნის მასწავლებელი უნდა შეირჩეს საგანგე
ბოდ, საჭიროებისას მოხდეს მათი გადაჯგუფებაც; ამასთან, გათვა-
ლისწინებულ უნდა იქნეს, რომ ამ კლასებში მომუშავე მასწავლებ-
ლებს ადგილებზე გაეწიოთ ყოველგვარი დახმარება.

გულდასმით უნდა შეირჩეს მოსწავლეთა კონტინგენტი. ამ მიზ-
ნით საჭირო იქნება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა და მათ
მშობელთა შორის ჩატარდეს საუბრები პროფესიული ორიენტაციის
საკითხებზე;

VIII კლასების ის მოსწავლეები, რომლებიც გამოირჩევიან ჰუ-
მანიტარული ციკლის საგნების შესწავლისადმი მიდრეკილებით, სა-
სურველია, სასწავლებლად გადავიდნენ აღნიშნულ კლასებში; ამას-
თან, საჭიროა გავითვალისწინოთ პედაგოგიური კადრების მომზადე-
ბის ახლანდელი ტენდენცია და ამ კლასებში მიღების, აგრეთვე უნი-
ვერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუ-
ტებში ახალგაზრდობის მიღებისას, სასურველია, უპირატესობა მიე-
ცეთ ვაჟებს.

აქვე გვინდა, ამასთან დაკავშირებით ერთ საკითხზე მოგახსე-
ნოთ: ქ. აბაშის 1-ლ სკოლაში, სადაც გაძლიერებულად ისწავლება

1 მიმდინარე სასწავლო წელს ფაკულტატური მეცადინეობა გათვალისწინებუ
ლია VII კლასიდან, სადაც მას ორი საათი ეთმობა. ამის მიხედვით, თუ ზემოხსენე-
ბული კლასები შეიქმნებოდა, შეგვეძლო იქ მეცადინეობა VII კლასიდან დაგვე-
წყო, ან ამ კლასში ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარება გამოგვეყენებინა,
ერთი მხრივ, მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტის მიდრეკილებისა და მისწრა-
ფებათა დასაზუსტებლად და, მეორე მხრივ, VIII კლასში რომელიმე ციკლის საგ-
ნებში მათი გაერთიანებისათვის პირობების მოსამზადებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკა, თავმოყრილია მოსწავლეები რაიონის სხვადასხვა სკოლებიდან. იმის გამო, რომ ბევრი მათგანი ძლიერ დაშორებულია რაიონის ცენტრს, უქმად კარგავს დიდ დროსა და ენერგიას, ამიტომ ასეთი კლასები, სადაც ეს შესაძლებელია, სჯობს გაიხსნას სკოლა-ინტერნატებში (იქ შეუდარებლად უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობებია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, ბევრი სხვა საკითხიც გახდება მოსაგვარებელი და საზრუნავი, მაგრამ მათ წინაშე შეჩერება არ ეგების, რადგანაც ღრმად გვწამს, რომ ასეთი კლასების მუშაობა დადებით შედეგებს მოგვცემს.

თავი რომ მოვუყაროთ ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა და ვიკითხოთ, მაინც რა არის სიახლე ამგვარი ტიპის კლასების მუშაობაში, პასუხი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ა) ეს იგივე გაღრმავებული სწავლების კლასია, ოღონდ აქ ერთი საგნის გაღრმავებული სწავლება იცვლება გარკვეული ციკლის საგნების ასეთივე, მაგრამ, საათების სიმცირის გამო, თუ შეიძლება ითქვას, ნაკლებ გაღრმავებული სწავლებით;

ბ) თუ ერთი საგნის გაღმავებული სწავლებისას მხოლოდ ამ საგნის ძლიერი მასწავლებელი უნდა შეირჩეს, აქ რამდენიმე საგნის მოწინავე მასწავლებელი უნდა გამოინახოს;

გ) თუ ჩვეულებრივი გაღრმავებული სწავლებისას მხოლოდ ერთი საგნის კაბინეტის სრულყოფილ მოწყობაზე არის აღებული გეზი, ახალი ტიპის კლასისათვის რამდენიმე საგნის სრულყოფილი კაბინეტია საჭირო.

ასე რომ, ასეთი კლასების შექმნა რაღაც არაჩვეულებრივი, მოულოდნელი სიახლე არაა, მისი განხორციელება, ამდენად, შეიძლება, ოღონდ არ უნდა შევუშინდეთ ზოგ სხვა სიძნელესაც, რომელიც მისთვის, როგორც ერთგვარი სიახლისათვის, შეიძლება ბუნებრივი თანამგზავრი გახდეს.

აღნიშნული კლასების მუშაობით, საპურველია, გარდა სახალხო განათლების ორგანოებისა, დაინტერესდნენ მწერალთა კავშირი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტების სათანადო კათედრები და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

სკოლებში, სადაც ასეთი კლასები იმუშავებენ, სანიმუშო კაბინეტები უნდა იყოს ყველა იმ საგანში, რომელიც გაღრმავებულად შეისწავლება.

გაღრმავებული სწავლების კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტი 30-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი კლასებისათვის ცალკე უნდა შედგეს სასწავლო გეგმები.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრების გაუმჯობესების მიზნით, შემდგომ უნდა გაძლიერდეს მათი გადამზადების ტემპი, ისინი, ვისი გადამზადებაც ან დაბალი კვალიფიკაციით, ან მოხუცებულობის გამო აღარ შეიძლება, გათავისუფლდნენ სამუშაოდან სათანადო წესის დაცვით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლების, პირველ რიგში დამოუკიდებელი დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების, მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას.

უნდა ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს:

ა) შემოიღოს ქართული ენის პრაქტიკული კურსი იმ უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე, რომლებიც მასწავლებელთა კადრებს ამზადებენ:

ბ) მისცეს მითითება მის დაქვემდებარებაში მყოფი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელებს, ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერით საგამოცდო თემად აკრძალონ წაკითხული ნაწარმოების ან მისი ნაწილის შინაარსის გადმოცემა;

გ) დასვას საკითხი შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე: რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში სტუდენტთა მისაღებ კონტინგენტის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭოს ვაჟებს.

როგორც ჩანს, პედაგოგიური კადრების გადამზადებისა და მომზადების საკითხი, საჭიროა, ერთობლივად განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ.

3. საჭიროა ყველა სკოლაში გამოიყოს სათანადო ოთახი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის, სადაც კი ამის საშუალება არ არის, კლას-კაბინეტის მოსაწყობად და დაიწყოს მუშაობა თანდათანობით მათ შესავსებად;

4. სისტემატური მუშაობა უნდა ტარდებოდეს სასწავლო გეგმის, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განსახილველად. ამჟამად უკვე მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მოვაწყოთ მათი ფართო განხილვა და შედეგების განათლების სამი-

ნისტროს კოლეგიაზე მოსმენა; სახელმძღვანელოების გაუმჯობესების მიზნით, უნდა გამოცხადდეს ღია კონკურსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გადამჭრელი ღონისძიებანი უნდა გატარდეს სკოლების, განსაკუთრებით სოფლის სკოლების ბიბლიოთეკების აუცილებელი ლიტერატურით უზრუნველსაყოფად როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთათვის (რამდენადაც მცირეა გამოცემული წიგნების ტირაჟი). ამასთან, ზუსტად უნდა დაიგეგმოს, როდის და რა გამოიცეს

6. მიმდინარე წლის IV კვარტალში შესწავლილ უნდა იქნეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ განათლების სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა და 1974 წლის მარტის არდადეგების დროს ჩატარდეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

7. მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით, ეგების როგორმე უნდა მოხერხდეს, IX—X კლასებში შემოვიღოთ ქართული ენის სწავლება (კვირაში თითო საათი.).

8. სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის მდგომარეობის საკითხი და შედეგები მოხსენდეს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

9. საჭიროა, ცალკე გამოიყოს აგრეთვე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხი და შედეგები მოხსენდეს სამინისტროს კოლეგიას.

10. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ მიიღოს ზომები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო მასალებით სკოლების უზრუნველსაყოფად.

11. განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სამეცნიერო მომზადების და პედაგოგიურ-მეთოდური კულტურის დონის შემდგომ ასამაღლებლად.

12. ეთხოვოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმს, ყოველწლიურად გამოსცეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დასახმარებლად ბროშურები 5 სასტამბო ფორმის მოცულობით.

13. გადამუშავდეს, მომზადდეს, დაისტამბოს და მიმდინარე წლის 20 ივლისამდე დაეგზავნოთ სკოლებს მითითებანი:

ა) „ქართულ ენისა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ“ მოსამზადებელი კლასიდან X (XI) კლასების ჩათვლით;

ბ) სკოლებში ერთიანი ორთოგრაფიული რეჟიმის შესახებ.

14. რესპუბლიკის პედაგოგიურმა პრესამ — ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ და გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ ფართოდ გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხები.

15. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ დაუყოვნებლივ მოამზადოს კოლეგიაზე განსახილველად საკითხი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სკოლების სამმართველოს უფროსის
მოადგილე ს. დვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 20 აგვისტოს ბრძანება № 673

### რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკაში გაჩაღებულია დიდი და ნაყოფიერი მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ამაღლების, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესების, საზოგადოების ცალკეული წევრის შეგნებაში მავნე გადმონაშთების დაძლევისათვის და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით სოციალისტური საზოგადოებისათვის ისეთ ანტიპოდურ მოვლენებს, როგორიცაა მექრთამეობა, პროტექციონიზმი, ქურდობა, საზოგადოებრივი ქონების დატაცება და სხვ. ჩვენს სინამდვილეში ამ მავნე და მიუღებელი მოვლენების არსებობას დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესებისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების შეგნების ფორმირებისათვის.

რესპუბლიკაში მანკიერების ყველაზე მეტად გავრცელებული სახეა პროტექციონიზმი — საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების პრივილეგიის გადმონაშთი.

პროტექციონიზმს ხელს უწყობს ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, რასაც ადგილი აქვს სახალხო განათლების სისტემის ზოგიერთ რგოლში. მშრომელებისადმი უსულგულო დამოკიდებულება, არაობიექტურობა და საქმის გაჭიანურება მოსახლეობის ერთ ნაწილში წარმოშობს აზრს, რომ პროტექციის გარეშე შეუძლებელია თუნდაც კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

პროტექციონიზმი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში წარმოშობს

ციონიზმს, ნეპოტიზმს, უპატივცემულობას სხვისი შრომითი პროდუქტისადმი, უფრო მეტი, უფროსი თაობის დამსახურებისადმი, ზერელობას, მისწრაფებას სხვის ხარჯზე პარაზიტული ცხოვრებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტექციონიზმში, უპირველეს ყოვლისა, ჰპოვა თავისი მახინჯი გამოვლინება კადრების შერჩევაში, განაწილებასა და დაწინაურებაში არსებულმა უხეშმა დარღვევებმა. ახლო წარსულში საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ გავლენიანი პირები პროტექციას უწევდნენ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე გაჰყავდათ უღირსი, ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი პირები, რამაც აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა საქმეს, დაუკარგა მასების ერთ ნაწილს ნდობა საბჭოთა ორგანოებისადმი.

პროტექციონიზმმა — ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელმა მახინჯმა გამოვლინებამ აშკარა გამოხატულება ჰპოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის გელბახიანისა და ყოფილი პარტკომის მდივნის სარალიძის საქმიანობაში, რომელთაც ინსტიტუტში დააკანონეს პროტექციონიზმი და თავიანთი მოქმედებით სახელი გაუტეხეს კოლექტივს, გონება მოუწამლეს ათასობით ახალგაზრდას.

შემოწმების შედეგად ანალოგიური ფაქტები გამოვლინდა ზოგიერთ სხვა ინსტიტუტში, სპეციალურ სასწავლებელსა და საშუალო სკოლაშიც კი.

მთელ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თხოვნის, ნაცნობობისა თუ პროტექციის შედეგად, ადგილი აქვს დაუმსახურებლად მაღალი ნიშნების დაწერის, ოქროს მედლით დასაჯილდოებლად შეუფერებელი კანდიდატების წარდგენის, მასწავლებლების მიერ შვილების თავიანთ სკოლებში მოწყობის შემთხვევებს, რითაც ირღვევა არსებული წესი და რაც სხვა მშობლების კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 11 ივნისის დადგენილების — „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ შესასრულებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღონ მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების დატაცების, პროტექციონიზმისა და სხვა

კომუნისტური მორალისათვის მიუღებელი მახინჯი მოვლენების წი-
ნააღმდეგ;

ეროვნული

ბ) უზრუნველყონ მოსწავლე ახალგაზრდობაში იდეურ[illegible] დელობითი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება;

გ) მკაცრი კონტროლი დააწესონ სკოლებში ნიშნების ობიექტურად დაწერაზე. ამ საქმეში გამოვლინებული დამახინჯების ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე მკაცრი მსჯელობა იქონიონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე;

დ) სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა-გადაყვანისას მტკიცედ იხელმძღვანელონ მოქმედი წესებისა და მიკრორაიონების პრინციპის დაცვის შესაბამისად;

ე) მკაცრად დაიცვან კადრების შერჩევის, განაწილებისა და დანიშვნის ლენინური პრინციპები, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ ნაცნობობის, ნათლიმამობის, ძმაკაცობის ყოველგვარ მავნე გამოვლინებას. ხელმძღვანელ თანამდებობაზე პიროვნების დანიშვნისას გაითვალისწინონ მუშაკის პირადი თვისებები, ავტორიტეტი, მისი დამოკიდებულება კოლექტივისადმი.

2. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა რესპუბლიკურმა საატესტაციო კომისიამ იზრუნოს, რათა ატესტაცია ატარებდეს მიუდგომელ და ობიექტურ ხასიათს, რომ იგი გახდეს საუკეთესო მასწავლებელთა გამოვლენისა და შეუფერებელი მასწავლებლების სკოლიდან დათხოვნის ქმედითი იარაღი.

3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძემ) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაიამ) სისტემატურად გამოაქვეყნონ კრიტიკული წერილები პროტექციონიზმისა და სხვა მავნე ჩვევების წინააღმდეგ.

4. სკოლების სამართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 15 აგვისტოს დადგენილება.

მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 22 აგვისტოს ბრძანება № 978

### „უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავის შესახებ

1974 წლის ოქტომბერში აღინიშნება „უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავი. საბჭოთა მასწავლებლობის ბასრი იარაღი, მეგობარი და მრჩეველი „უჩიტელსკაია გაზეტა“, რომელიც 1,5 მილიონი ტირაჟით გამოდის, დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შუქზე სასკოლო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ პარტიისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

გაზეთი იყო ორგანიზატორი ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციისა, იგი განათლების მუშაკებს რაზმავდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, საყოველთაო დაწყებითი, შვიდწლიანი და შემდგომ რვაწლიანი განათლების განხორციელებისათვის.

სამამულო ომის წლებში „უჩიტელსკაია გაზეტა“ ასახავდა მასწავლებელთა გმირობას და პატრიოტიზმს ფრონტზე და ზურგში.

გაზეთი ამჟამად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დროულად დასამთავრებლად, აყენებს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებს, დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის შრომით აღზრდას და სხვა აქტუალურ საკითხებს.

„უჩიტელსკაია გაზეტა“ სისტემატურად ბეჭდავს მასალებს საქართველოს სსრ-ში სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ, მასთან საქმიანი კავშირი აქვს დამყარებული რესპუბლიკის ბევრ სკოლას, მასწავლებელს, სახალხო განათლების მუშაკს.

„უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე თავიანთ გამოსვლებში ხაზი გაუსვან და ყურადღება გაამახვილონ „უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავის იუბილეს შესახებ;

ბ) სექტემბერ-ოქტომბერში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოაწყონ ამ იუბილესთან დაკავშირებული საღამოები, დისპუტები, შეხვედრები, გამოუშვან კედლის გაზეთები, სტენდები და სხვ.;

გ) ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და რუსთავში მოაწყონ მკითხველთა კონფერენციები მიძღვნილი „უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავისადმი;

დ) ინფორმაციები ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გაუგზავნონ გაზეთის რედაქციას.

2. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძემ, გ. საჯაიამ):

ა) სისტემატურად გამოაქვეყნონ ამ იუბილესადმი მიძღვნილი სტატიები და წერილები;

ბ) ამ თარიღთან დაკავშირებით გამოუშვან სპეციალური ნომრები.

3. სახალხო განათლების მუზეუმმა (ამხ. გ. გაბისონიამ) მოაწყოს გამოფენა—„უჩიტელსკაია გაზეტა“—50 წლისაა“.

4. 1974 წლის სექტემბერში ქ. თბილისში მოეწყოს საიუბილეო საღამო მიძღვნილი „უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავისადმი.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 15 აგვისტოს დადგენილება.

მინისტრის მოადგილე: **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესი . . . . . . 3
2. Правила внутреннего туудового распорядка для работников общеобразовательных школ системы министерства просвещения ССР . . . . . . . . . . . . . . 21
3. ბრძანება № 667—რესპუბლიკის სკოლებში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 36
4. ბრძანება № 517—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 55
5. მოხსენებითი ბარათი —რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გზების შესახებ . . . . . . 68
6. ბრძანება № 673—რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 102
7. ბრძანება № 978—„უჩიტელსკაია გაზეტას“ 50 წლისთავის შესახებ . 105
8. შინაარსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 107